

დასოუკიდავალი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ბ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ჩაგრულ ერების ერთი ფრონტი.
«კავკაზი» კავკასიელების წინამდევ.
ილ. ნუცუბიძე—აწყვეტილი ძალები.
მემორანდუმი ერთა ლიგას.
მოსკოვი ებრძვის საბჭ. კავშირის ერებს.
Otmar—იაპონიის მოქმედების მიზნები ჩინეთში

რ. ინგილო—ქართ. კულტ. მუშაობა ნეაპ. ინსტ.
ნაუტი—წერილი ამერიკიდან.
ფ.—ბიბლიოგრაფია.
რუსთაველის დღესასწაული ყენევაში.
ქართული «შევარდენი» პარიზში.
წერილი რედაქციის მიმართ.

ჩ ა გ რ უ ლ ე რ ი ბ ი ს ე რ თ ი ფ რ ო ნ ტ ი

დიდი ხანია, მსოფლიო საზოგადო აზრი შეეჩვია კრემლის ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ პროცესებს, მათ გულშემაზრავ, სტერეოტიპულ ჩეკისტურ გათამაშებას, სადაც ბრალდებულნი ექიზებოდნენ საჯარო ბრალდებელთ თავის დანაშაულთა მხილება-გაზვიადებაში. უკანასკნელი წლინახევრის პროცესებმა კიდევ თუ მიიპყრეს ქვეყნიერების ყურადღება, ეს აიხსნება იმით, რომ დამნაშავის სავარძელზედ თვით კომუნისტური პარტიის ცნობილი პირები ისხდნენ, მათ შორის «ლენინის გვარდიაც».

მაგრამ ბოლოს ეს სისხლიანი ჯამბაზობა არ იწვევდა დიდ ინტერესს. საჭირო იყო რამე ახალი სენსაცია და ის სრულიად მოულოდნელად აფხაზეთიდან გაისმა! თუ გუშინ დაწინაურებულ ქვეყნებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამ მშვენიერ კუთხეზე, დღეს კი იციან მისი მდებარეობა, მოსახლეობა და, ასე წარმოიდგინეთ, «კონსტიტუციაც»!

რასი მდგომარეობდა სენსაცია? იმაში, რომ სწორედ აფხაზეთში განუზრახავთ «დიდი» სტალინის მოკვლა, და, ასე წარმოიდგინეთ, სამჯერ უცდიათ ეს და სამჯერვე გაცუდებიათ. თქვენ გახსოვთ, პირველად კიროვის მოკვლასთან დაკავშირებით ახსენეს სტალინის მოკვლის განზრახვაც, და ეს ხმები მყისვე აღკვეთეს კრემლის ბრძანებით. რატომ? იმიტომ, რომ დიქტატორს არ უყვარს, და ეს კი სამართლიანად, რომ მის სახელს წარამარა ახსენებდნენ მოკვლის კანდიდატთა შორის, მით უფრო, ვინ

იცის, ასეთმა ჩვეულებამ მართლა არ დაუბადოს ვისმე მისი მოსაზრების აზრი. ამჟამად ისიც კი გახდა ჩვეულებად, რომ სახელის ნაცვლად ეპიტეტებს ხმარობენ, როგორცაა: «გენიოსი, ბრძენი, მამა» და სხ., და ბავშვმაც კი იცის ვისზეა ლაპარაკი.

მაშასადამე, რალაც განსაკუთრებული მიზეზი უნდა იყოს, რომ სტალინის მოკვლის განზრახვა ასე საქვეყნოდ ამხილეს და აფხაზეთის 13 ბობოლა საჯაროდ გაასამართლეს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თვით დანაშაული ოთხი და ორი წლის წინედ, 1933 და 1935 წ.წ., მომხდარა, და მხოლოდ ეხლა გამომამხუტრეს. მაგრამ უფრო გასაოცარი კიდევ ის არის, რომ მთავარი ბრალდებული ნესტორ ლაკობა, რომელსაც «პრემიერს» უწოდებენ ინგლისური გაზეთები, მხოლოდ შარშან მოკვდა და სტალინის ნაცვალმა ბერიამ, რომლის გაქრობაც იმავე ლაკობას განუზრახავს, დიდის პომპით დაასაფლავა იგი! აქედან ხმებიც—ლაკობაც ორჯონიკიძის მზავსად «გარდაიცვალა», და ბერიას ხომ საბუთიც ჰქონდა ამისათვის.

ერთი სიტყვით, დროს დაკარგვია კრემლის ყველა საიდუმლო კვანძის გახსნა, ეს ალბად ჩქარა იქნება შესაძლებელი მის დამხობის უმალ, მხოლოდ დღეს კი ვიცით და ამას ვერავინ დამალავს, რომ ყრუ «პრემიერი» ლაკობა, მისი ძმები მიხეილ და ვასილი, აგრედვე «გველის წიწილებად» წოდებული ლადარიები, ვინც თავიდანვე უღალატეს სამშობ-



ლოს და სტანჯავდენ, დღეს საიქიოს არიან გამგზავრებული თვით მათი ბატონის მიერ, რასაც უთუოდ დიდის სიხარულით შეეგება მთელი აფხაზეთი.

მაგრამ ერთი გარემოებაც არის ფრიად საგულისხმეო ამ შემთხვევაში ჩვენთვის. ვამბობთ მთავარ ბრალდებაზე: აფხაზეთის საბჭოთა კავშირიდან გასვლის განზრახვა. დიახ, ეს განზრახვა უთუოდ არსებობს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ დღეს აფხაზეთში არაფერია ოცნებობს დედა-ტანიდან, საქართველოდან, განცალკევებულად არსებობაზე. ავტონომიური მართველობა თავის თავად მისახვედრია, როგორც ჩვენი კონსტიტუცია გულისხმობს, ხოლო სახელმწიფოებრივი არსებობა მარტოდენ მთელს საქართველოს უწერია. განა სიატომატური არაა ის ფაქტი, რომ სეპარაციის უდიდესი მტრის სტალინის გაქრობა სწორედ აფხაზ ინალიპას და იმერელ მიქელაძეს უკისრნიათ?

ასევე დატრიალდა საქმე აჭარაში. აქაც სეპარაციის განზრახვისთვის გაასამართლეს და დახვრიტეს მაკჰაძიანი და ქრისტიანი ქართველები: «პრეზიდენტი» ხასან ლორთქიფანიძის გვერდით კითხულობთ გრიგოლ ლაღიძეს, ჯგმალ კიკავას გვერდით ილია მეგრელიძეს და სხ., ხოლო თუ სახელებიც არ წაუშმდვარეთ, გვარებით ვერც კი გაარჩევთ.

ესლა თუ ბუღუ მდივნის და კომპანიის გასამართლებას გაიხსენებთ ტფილისში, სადაც ბერიამ ბრალდებულთა გატეხვას ვერ მიაღწია და ამიტომ ეძებს გაშმაგებით საიდუმლო პროცესის დაკარგულ ოქმებს, სურათი დასრულებულად გვეხატება: საქართველომ თავის დედა-ქალაქში და ორი სხვა მთავარ ცენტრში: ბათუმსა და სოხუმში სთქვა თავისი ურყევი სიტყვა, როგორც კრემლი ამოწმებს საკუთარ მსახურთა სისხლით, რომ მას, საქართველოს, არ სურს ხმელეთის მეექვსედის ნაწილად დარჩეს და ადრე თუ გვიან—უფრო ადრე ვინემ გვიან—დაიბრუნებს თავისუფლებას.

რაც საქართველოშია, იგივე ხდება მეზობელ რესპუბლიკებში: აზერბაიჯანში, მთასა და სომხეთში. მაგრამ არის თვალსაჩინო განსხვავებაც: მაშინ როდესაც საქართველოში გასამართლებული ცნობილი კომუნისტები თითქმის ყველანი დახვრიტეს, აზერბაიჯანსა და მთაში მათ მრავალი წლის ციხე მიუსაჯეს, ან კიდევ უხმაურად გააქრეს, ყოველ შემთხვევაში, არაფერია იცის მათი ავან-ჩავანი. აზერბაიჯანის «პრემიერი» და სავაწირო აღმკომის წევრი ჰუსეინ რახმანოვი 14 სხვა ყოფილ კომისრების სათავეში მოაქციეს და ბრალდებად, გარდა სეპარა-

ციის განზრახვისა, ის წამოუყენეს, რომ ისინი ამ მიზნით საქართველოსა და სომხეთის «კომუნისტ-ნაციონალისტებთან» აწყობდენ შეთქმულებას. აზერბაიჯანლებს და მთიელებს თურქეთთან საიდუმლო კავშირსაც აწერენ აშკარად, ხოლო ქართველ კომუნისტებზე არ აცხადებენ, ვისთან აქვთ მათ კავშირი, თუმცა აფხაზეთის პროცესში გერმანია დაასახელეს «მოკავშირედ».

განსაკუთრებით აღსანიშნავია სომეხ «კომუნისტ-ნაციონალისტების» ბედი. ამათ პროცესსაც არ უწყობენ და ისე «წმენდენ», ალბად იმ მოსახრებით, რომ არ უნდათ ალაპარაკონ სომხეთის მრავალი მეგობარი ევროპასა და ამერიკაში. მაგრამ «დეილი ტელეგრაფს» მაინც არ გამოპარვია ეს ჩუმი წმენდა და აქვეყნებს, როგორ გადააყენეს «პრეზიდენტი» ანესოგლიან, «პრემიერი» გულოიანი და კომპარტიის მდივანი ამატუნი, სამივენი «ხალხის მტერნი». ამატუნი, როგორც ვიცით, ადრე მოკლულ ხანჯიანის ნაცვლად იყო დანიშნული. როგორც ზევით ვახსენეთ, სომხებს მეზობლებთან შეთქმულებას აწერენ, და იგივე ინგლისის ოფიციალური ხაზს უსვამს, რომ «საბჭოთა კავშირიდან გამოთიშვა» არის მათი მიზანი.

განა ეს ბრალდება არ ამოწმებს ერთხელ კიდევ, რომ ემიგრაციაში მყოფი დამნაჯკუტუნის ლიდერები არ გამოხატვენ მათი ერის სულისკვეთებას? თუ სომეხი კომუნისტები «სეპარატისტებად» ქცეულან, რა უნდა ითქვას თვით ხალხზე? მან ხომ არა ერთხელ დაამტკიცა ბრძოლის ველზე—გაიხსენეთ გადატრიალება 1921 წელს და გლესთა მოძრაობა 1930-1932 წ.წ.—, რომ ის მოწადინებულია მეზობლებთან ერთად გარეკოს მისი ქვეყნის «ოკუპანტები». მაშ რად ეურჩებიან აქაური დამნაჯკელები კავკასიის განმათავისუფლებელ ერთ ფრონტში ჩაბმას?

ესლა უკვე აშკარაა, რატომ დაშალა კრემლმა ამიერ-კავკასიის უზადრუკი «ფედერაცია». ეს უბრალო მექანიკური გაერთიანებაც, დაარსებული რუსეთის ბატონობისათვის, საშიში გამხდარა: სამივე ერის სეპარატისტულ შეთქმულებას ხელი არ შეუწყოსო. აქედან ისიც ნათელია, როგორ დროული და მიზანშეწონილი იყო მთელი კავკასიის კონფედერაციის იდეის გადასროლა. მოსკოვის მპყრობელობის დანგრევის წინააღმდეგ კავკასიის ერებმა სწორედ კონფედერაციის დროშის ქვეშ უნდა დაირაზმონ და, როცა საამისო უამი დაჰკრავს, საერთო ძალით უნდა ეკვეთონ მტერს.

კავკასიელნი განმარტოებული არ არიან. სხვა



ჩაგრულ ერებშიც კომპარტიების ადგილობრივ მეთაურთა «წმენდა» კიდევ უფრო ინტენსიური ტემპით სწარმოებს. უკრაინასა და თურქესტანში, მაგალითად, ძნელიცაა, არამც თუ ბრალდებულ ბოლშევიკებს, არამედ თვით პროცესების უბრალო ჩამოთვლა. ბრალდება, რა თქმა უნდა, ყველგან ერთი და იგივეა: მავნებლობა, სეპარატიზმი, მსტოვრობა უცხო სახელმწიფოსთვის.

ამრიგად, კრემლი თვითონ სვამს წესრიგში არარუს ერთა მის უფლიდან განთავისუფლების საკითხს. ჯერ ეს ხომ სტალინმა თავის კონსტიტუციონში დასვა, რომლის მე 17 მუხლი პირდაპირ აღიარებს თვითველ ერის უფლებას კავშირიდან გავიდეს. ხოლო მისი გვეუფ სწორედ ამ უფლების განადგობის განზრახვისათვის მივინვარებს ასე მხეცურად ჩაგრულ ერებში. ეს შეუურიგებელი წინააღმდეგობა უფლებასა და ფაქტს შორის საბედისწეროა დიქტატურის არსებობისათვის.

ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სტალინი უკვე რუსის ერზე დაყრდნობას ლამობს. რუსული «სეპარატიზმი», მართლაც, ბუნებაშიც არ მოიპოვება. «უნიონიზმი» ან უკედ—იმპერიალიზმი, აი რის განმტკიცებას ცდილობს ის სრულიად შეგნებულად. არარუსმა კომუნისტებმა თავის დრო მოჰუმეს, «მავრს შეუძლია წავიდეს», და მათ მაგიერ სცენაზე გამოყავს «უპარტიო ბოლშევიკები». ეყოფის მეთაურობით. აღდგენილია «ქეშმარიტ რუსების» ქარგანი, ცარისტულ რუსეთის ქება დიდება, რუსული გმირობის, რუსული მამულიშვილობის, რუსული მწერლობა-მეცნიერების უპირატესობა...

რაც უფრო ძლიერდება ეს ძველი რუსული ფსიქოზი, მით უფრო ერკვევიან არარუსი კომპარტიები. თვით არარუს ერებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ისინი თავიდანვე გარკვეული იყვნენ და ეწეა მხოლოდ შეტევისთვის ემზადებიან. ყველა ჩაგრულ ერთა სამღვთო კავშირი—აი სადღესო ლოზუნგი.

ეს კავშირი და მეგობრობა ემიგრაციაშიც ჩაისახა, პრომეთეს ფრონტი და მეგობრობის კომიტეტი ამის მაჩვენებელია. მაგრამ თავი და თავია, რომ ამ დიდმა და ძველამოსილმა იდეამ ადგილობრივ გაიმარჯვოს. სრულიად აშკარაა, მოსკოვის შავრახმული პოლიტიკა ერთი ზედმეტი მუჯღუგუნია არარუს ერებისთვის, რაც შეიძლება ენერგიულად შეუდგენ ყველა თავის ძალების ერთ ფრონტში დაგროვებას საეპოქო განმათავისუფლებელ ბრძოლებისთვის.

„კავკაზი“ კავკასიელების წინააღმდეგ

პაიდარ ბამატის ყურნალმა თავიდანვე მიიპყრო კავკასიელ ემიგრაციის ყურადღება. მართალია, რაც «კავკაზში» იბეჭდებოდა, ახალი არავისთვის ყოფილა: ჩვენი ემიგრაციაში წინდაც მოაპოვებოდენ ადამიანები, რომელთა მოღვაწეობა მხოლოდ იმაში გამოისახებოდა, რომ იწუნებდენ ყველა კავკასიელ დაჯგუფებას და მათ პოლიტიკურ მოქმედებას, და ამ დაგმობილის ნაცვლად არც კი ცდილობდენ თავის საკუთარი ხაზის დასახვას და საკუთარი საქმის გამოწყობას. მაგრამ ბამატმა სრულიად ახალი მიმართულება მისცა ასეთს მოღვაწეობას. მან დაარსა «ერთად ერთი კონფედერაციული ორგანო», სადაც თავი მოუყარა და გააერთიანა ყოველივე, რაც წინედ ცალ-ცალკე და დაქსაქსულად კეთდებოდა თითოეულ ერში. ამრიგად გაფართოვდა და გაიზარდა კავკასიის ერთა შორის ნაწარმოები ასეთი «პატრიოტული» საქმე, ერთს ორგანოში მოექცა, კონფედერაციულ ნიადაგზე დადგა და ერთი ენის, რუსული ენის, შემწეობით გადაიშალა კავკასიელთა და უცხოთა წინაშე. მრავალჯერ ნაღეჟი ღვარძლიანი გმობა და უხეში ლანძღვა-გინება გადაითარგმნა და კვლავ აღიბეჭდა ქალაქდზე. თუ რამ ასეთი გამორჩენილი იყო და მივიწყებული, გამოიძებნა და გამოინახა და მით შეგვსებულ იქმნა ეს მშვენიერი «კონფედერაციული» ლიტერატურა. მაგრამ გამოწყობულ საქმის მასტაბს და მის დიდს დანიშნულებას ერთი ენა, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა. ამის გამო ბამატის ნაშრომები გადაითარგმნა თურქულად, გადაითარგმნა ფრანგულად და ამბობენ, რომ ითარგმნება ინგლისურად, გერმანულად და ვინ იცის კიდევ რამდენს ენაზედ. ბ. ბამატმა ამის შემდეგ უთუოდ იგრძნო დიდი უხერხულობა იმისა, რომ ასეთი ღირსეული კონფედერაციული მწერლობა ყველა უცხო ენებზე ვრცელდებოდა და არც ერთს კონფედერაციაში შემავალ ერის ენაზედ. ასეთი ნაკლის გამოსწორებაც ხდება და უკვე ქართულად ითარგმნება ისევე, რაც ქართულიდან რუსულად იყო გადათარგმნილი, და ამ რიგად ბამატის ქართული «კავკასია»-ც მოგვევლინა. საქმე რომ ამანე შეჩერდეს, ეს უთუოდ ლალატი იქნებოდა კონფედერაციული პრინციპისა, და იქვი არ არის, რომ ბ. ბამატი სხვა კავკასიურ ენებზედაც გამოსცემს თავის «ერთად ერთ კონფედერაციულ კავკაზს».

როგორადაც არ უნდა დაგვასოთ ბ. ბამატის ასეთი მოღვაწეობა, სამართლიანობას ვერ გავექცევით და უნდა აღვიაროთ, რომ «კავკაზი» ქეშმარიტად ერთად ერთი კონფედერაციული ორგანოა და არა მარტო კავკასიურს სინამდვილეში, არამედ ყველა ქვეყნისა და ყველა ეპოქისათვის. როდესაც საკონფედერაციო საქმე სწარმოებს და სათანადო დაწესებულება არსდება, ეს უკანასკნელი ხელში იღებს კავშირში შესულ ერთა საერთო ინტერესებს, საერთო მოქმედებას და მას აწარმოებს შერიგებით და შეთანხმების ნიადაგზე. კონფედერაციული პრესის მიზანიც ასეთია: განზე სტოვებს ისეთ სადავო საქმეებს და საკითხებს, რომელთა მოგვარებას ახა-



ლი შრომა და დრო უნდა; ცდილობს სადავო საკითხების შევრბილებას. შემცირებას და რასაკვირველია, არ სჩნდება და არ ეძებს და მით უმეტეს ხელოვნურად არ სთხნავს იესუს სადავო საქმეებს, რომელთაც შეუძლიან კავშირში შემავალ ერთადერთობის შესუსტება. ამის მიხედვით ბ. ბამატის «კავკაზი» ერთად ერთია—უნიკუმი და არაფრით წაავგვს, გარდა სახელისა, სხვაგან ხილულ საკონფედერაციო ორგანოსა და საქმეს.

ბ. ბამატის ყურნალის ენერგიული მოღვაწეობა ამ მიმართულებით უკვე ოთხი წელიწადი სწარმოებს. მას სპეციფიური მასალა სჭირია საკვებად და კავკასიის ფარგლებში იგი დაუშვრეტელი არ იქნება. სადავო და სალანძღო, პიროვნული თუ ჯგუფური, ძველი თუ ახალი მრავალჯერ დაბეჭდილია და გადაბეჭდილია, თარგმნილი და გადათარგმნილი. ამის გამო ბ. ბამატი იძულებული ხდება აქა იქ გადასცდეს კავკასიის საზღვრებს და მისწვდება სხვა ქვეყნებსა ასეთი მასალის მოსაპოვებლად. კავკასიელ ერებს, თავის ბრძოლების გზაზე, თუ რომელიმე ქვეყანაში რაიმე თანაგრძობა და ყურადღება აქვთ მოპოვებული, «კავკაზი» ამას ვერ ურიგდება, ამ ქვეყანას ჰგმობს კავკასიურ საქმისადმი თანაგრძობისათვის, ცდილობს კავკასიურ ძალების ამ ქვეყნის თვალში დამცირებას. ბოლო დროს ბ. ბამატმა შეამჩნია, რომ ასეთი საქმისათვის ასპარეზის გაჩენა უფრო ახლოც შეიძლება, თვით კავკასიის საზღვრებზე. ჯერხნობით «კავკაზი» სამხრეთის საზღვრებს მიპყრობს თვალს და აქ ეძებს ნიადაგს თავის ოთხი წლის «კონფედერაციული» მოღვაწეობის გაფაროლებისთვის. ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ იმის მტკიცებას, რომ ბ. ბამატს შეეძლებულია და წინასწარის ანგარიშით აქვს მოფიქრებული კავკასიის ერებისათვის ხელოვნურად შეფოთისა და უსიამოვნების შექმნა ჩვენს სამხრეთ მეზობლებთან. ხოლო ახლილი და უდავო სინამდვილეა ის, რომ «კავკაზის» მწერლობა ამ მიმართულებითაც იმავე განწყობილების შექმნას ცდილობს, რასაც ემსახურებოდა იგი შინა კავკასიურს ურთიერთობაში.

ბ. ბამატის ორგანო, ვითომც ოდილობს, რომ კავკასიას მოუპოვოს სამხრეთ მეზობლების სიმპატიო და ამისათვის საჭიროდ მიაჩნია შემდეგი: «არავითარი ტერიტორიალური დავები თურქეთთან და ირანთან! ჩვენ საბოლოოდ და ურყევლად ვცნობთ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით დაწესებულს კავკასიის საზღვრებს». ასეთი დევიზის დასასაბუთებლად «კავკაზი» მთელს რიგს წერილს ათავსებს უკანასკნელს თვეებში. ბ. ავლიშვილი ამას შეცნიერულადაც ასაბუთებს. «რაც შეეხება თურქეთის საქართველოს ზემო მტკვარსა და ჭორაოხზე, სწერს ბ. ავლიშვილი: სადაც ამდენი ძეგლია საქართველოს სიძველეთა, აქ ბევრის, ბევრის სამუშაოა ქართულ არქეოლოგიისათვის, ისტორიისათვის, ეთნოგრაფიისათვის, მაგრამ ახლანდელ პირობებში, ვგონებ, პოლიტიკოსებს არაფერი აქვთ საკეთებელი. განსაკუთრებულს ნიადაგს ქართული ირიდენტოზისათვის ჩვენ აქ ვერ ვხედავთ და ასეთი მიმდინარეობის შესახებ არც რა ისმის. მელანქოლიური შენიშვნები

გამოქნილ პუბლიცისტების და შემთხვევითი პროგრამის საყვირით შეძახება—ანგარიშში არ შედის».

როდესაც გარეშე, საქმეში არ ჩახედული, გავცნობა «კავკაზის» ამ საგანზე დაწერილი ცხელ-ცხელ წერილებს, რასაკვირველია იფიქრებს, რომ კავკასიის ერები, რომელნიც რუსეთის მიერ არიან დაპყრობილი და განთავისუფლებისათვის იბრძვიან, რუსეთის წინამდევ ბრძოლასთან ერთად ასეთსავე ბრძოლის ფრონტს ჰქმნიან თურქეთის წინამდევაც, ყარსის ხელშეკრულებით რუსეთის მიერ გადაცემულ ტერიტორიებისათვის. მართალია, თვით ბ. ავლიშვილი ადასტურებს, რომ «ასეთი მიმდინარეობის შესახებ არა ისმის რაღაც, მაგრამ მაშინ როდესაც უნდა იქნეს გავებული «კავკაზის» მიერ ამ საკითხების აღძვრა ასეთი კათეგორიული მოთხოვნები? სინამდვილე კი მართლაც ის არის, რომ კავკასიის კონფედერაციულ და არც ქართველ წრეებს არავითარი დავა არ აუტეხიათ ამ საგანზე თურქეთის წინამდევ და მათს ბრძოლას ერთად ერთი მიზანი აქვს დასახული—რუსეთის კავკასიიდან განდევნა. მართალია ამ წრეებს არ დაუდვიათ აღთქმა, რომ თურქეთთან არავითარი სადავო საკითხები არასოდეს არ ექნებათ და ასეთი აღთქმა არც ვისმე მოუთხოვია ვეთვან, გარდა ბამატისა და მისი «კავკაზისა». რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისთვის მებრძოლ კავკასიას უთუოდ არ დასჭირდებოდა ბ. ბამატის დახმარება, უკეთუ საჭიროდ დაინახავდა თურქეთის მიმართ რაიმე დავების აღძვრას. კიდევ უფრო ნაკლებად იქნებოდა ეს საჭირო თურქეთის მეთაურობისათვის, უკეთუ ის მოისურვებდა ასეთი საკითხების წამოყენებას. თურქეთმა კარგად უწყის, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასია ღირსეულად აფასებს სამხრეთ მეზობლის დიდ მნიშვნელობას კავკასიის განთავისუფლებისა და განმტკიცებისათვის და, რასაკვირველია, ამ საზომით მიუდგება თურქეთ კავკასიის ყველა სადავო და არა სადავო საკითხებს. კავკასიის ერებს ასევე სწამთ, რომ თურქეთისთვისაც ფრიად მნიშვნელოვანი იქნება კავკასიის ერთა მტკიცე სახელმწიფოებრივ ერთეულად გადაქცევა და ამით რუსეთის საზღვრების ჩრდილოეთით გადაწევა. ჩვენი დამოკიდებულება სამხრეთის მეზობლებთან და ურთიერთი სიმპატიები ამ მტკიცე საფუძველსა და ნიადაგს უნდა დამეყაროს და ის, რასაკვირველია, არ საჭიროებს ემიგრანტულ ბოგანოთა ისეთს აღთქმებსა და დაპირებებს, რომელნიც მოკლებული იქნებიან ყოველგვარ რეალურს შინაარსს და მხოლოდ შელახავენ ორივე მხარის ღირსებას. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა: თუ კავკასიისა და მის სამხრეთ მეზობლებს შორის როდისღაც რაიმე სადავო საკითხები აღიძრება, ეს უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკებით და მორიგებით.

ბ. ბამატი გვაჯერებს, რომ ქვემოთ ათათურქისა და შაჰ ფეჰლევის ოსმალეთი და ირანი არ არიან ძველი სულთნებისა და შაჰების ოსმალეთი და სპარსეთი (ამაში მისი დაჯერება ჩვენ არ გვჭირია), და ამავე დროს კავკასიის ერებისაგან მოითხოვს სულიერ დაცემულობის ისეთ მანიფესტაციას, სწო-



რედ ამ ახალ თურქეთისა და ირანის სიმპატიის მოპოებისათვის, რომელსაც წარმოადგენს მის მიერ, არავინ უწყის რისთვის და ვისთვის, ვისი დავალებითა და ვისი მოთხოვნით.—ფიცის და აღთქმის წინადადება. რად არ უფიქრდება ბ. ბამატი იმ გარემოებას, რომ თურქეთს და ირანს მეთაურობენ პიროვნებანი, რომელნიც ჯეროვან ფასს სდებენ, როგორც თავის ერის რეალურ ინტერესებს ისე მის პატივსა და ღირსებას. თავის მეზობლებსაც ისინი იმდენად გაუწყვეენ ანგარიშს, რამდენად ამასვე დაინახავენ მათს მეთაურებში.

ჩვენ თავის ეროვნული ღირსების დამცირებად მივიჩნევდით არსებითად შევეხოთ იმას, რასაც «კავკასი» სწერს შესახებ საქართველოს იმ მიწა-წყლისა, რომელიც რუსეთმა გადასცა თურქეთს ყარსის ხელშეკრულების ძალით. ვინ იცის, როდესაც დრო დადგება და კავკასია და თურქეთი შეუდგებიან მკვიდრ მეზობლურ ურთიერთობის დამყარებას, თურქეთმა ეგებ თვით მიიჩნიოს ეს მიწა-წყალი უფრო საჭიროდ კავკასიურ სიმტკიცისათვის, და თავისთვის კიდევ განუხომელად მეტის მნიშვნელობისად—ამ კავკასიის თავისუფლება და სიმაგრე.

მაგრამ ბ. ბამატი ამითაც არ კმაყოფილდება. მისთვის არ არის საკმარისი, უკეთეს კავკასიის ერები დიდის კმაყოფილებით დაადასტურებენ და სამუდამოდ დაამტკიცებენ რუსეთის მიერ მათი მიწა-წყლის თურქეთზე გადაცემას. ის დიდად არის გამწყვრალი იმის გამო, რომ «სომხები და ქართველები, ჯერ კიდევ თავის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ყოველნაირად მიისწრაფოდნენ, ხელი შეეშალათ თურქეთისთვის, დაეკავებინა მას ის მხარენი, რომელნიც მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით. შეიძლება ჩავთვალოთ ასეთი პრეტენზია სწორად საერთაშორისო უფლებების ელემენტარული ნორმების თვალთახრისით?» კითხულობს «კავკასი».

ასეთი კითხვა უთუოდ სიგიჟედ მოეჩვენება ყოველ გონიერ მკითხველს, ვინც არ იცნობს «კავკასიის» ამ ოთხი წლის მოღვაწეობას. მაგრამ ეს სიგიჟეს არ გამოსახავს, არამედ ერთად ერთ სურვილს, რომ რაც შეიძლება მეტად იქნეს ამდგრადი თურქეთ-კავკასიის ერთა შორის დამოკიდებულება.

რომ სწორედ ამას ემსახურება ბამატის მუშაობა, ამას ადასტურებს ის ახრებელი (მეტი რომ არა ვსთქვამთ) მოთხოვნაც, რომ კავკასიამ (თუ საქართველომ?) თურქეთს «სავაჭრო გზა» უნდა მისცეს ბათუმზე ყარს-არტან-ართვინის რაიონებისთვის...

მადა ჭამაში მოდისო, იტყვიან, და უნდა მოველოდეთ, რომ მალე ბამატი ახალს მოთხოვნილებებს წამოუყენებს კავკასიელებს.

მაგრამ ვიკმაროთ ამ ჭამად. დასახლებული ფაქტებიც ნათელყოფენ, რომ ბ. ბამატის და მისი «კავკასიის» მოღვაწეობა, წინამდებ დეკლარაციულ განცხადებებისა, არის მხოლოდ და მხოლოდ კავკასიელ ერთა შორის არევი-დარევის შეტანა და კავკასიის და მის სამხრეთ მეზობლების ურთიერთობის გაუარესება.

აჭყვებილი ქალები

საერთაშორისო ძალები აშლილია. მათი ურთიერთობა არავითარ წესს არ ემორჩილება. ყოველ დღეს ახალი სიურპრიზები მოაქვს. ერთა მესაქენი იკრიბებიან, თათბირობენ, პროექტებს ადგენენ, ბოლოს რაღაც შეთანხმებზეც მიდიან, მაგრამ უხეშ სინამდვილეს თავისი ცვაქვს, ხელოვნურად შეკოწიწებულ ნიღაბს ფხრეწს და ცხოვრება, აღსავსე ყოველგვარ მოულოდნელობით, თავისი გზით მიიმართება.

გადამავალი ხანაა. ძველი მიდის, ახალი მოდის. ცხოვრება ძირიანად იცვლება, იცვლება მისი ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური ბაზა. იცვლება ზნე ჩვეულებანი. ეს პროცესი მეტად მტკვირულია. ძველი თავის პრინციპებს უბრძოლველად არ სტოვებს, ახალ ძალებს შორის ზოგი არა ბუნებრივია, ცხოვრების უკანონო შეილია. ერთი მხრით ბრძოლა წარმავალთან და მეორე მხრით ურთიერთ ბრძოლა ახალ ძალთა შორის წარმავლის მემკვიდრეობისათვის ქმნის შინაარსს და ტემპს თანამედროვე საშინაო თუ საგარეო ურთიერთობათა.

ფინალი ახლოვდება. ბრძოლებიც უფრო და უფრო ტლანქი და უზნეო ხდება. ისინი თანდათან უახლოვდებიან სტიქიონის აწყვეტილ ელემენტთა უაზრო, დაუნდობელ, მექანიკურ შეტაკებებს.

პრიმიტიული ბრძოლები რაინდობით, პირდაპირობით ხასიათდებოდა, დღეს კი მზაკვრობა, უპირობა, სილაჩრეა მოდაში.

დიდმა ომმა დაღალა კაცობრიობა. გადაავარა მისი ფსიქოლოგია. ადამიანი ჩამოქვეითდა. იგი თვითმიზანი, თვითღირებულება, ზოგიერთ ქვეყანაში ნივთზე უფრო დაბლა დგას. თავისუფლებას ებრძვიან, უზურპატორებს გუნდარუჟს უტყევენ.

კალიგულა ამბობდა: როგორც მწყემსი განსხვავდება ჯოგისაგან და დგას მანვ მალა თვისი ბუნებით, ისე ხალხის ბრძანებელი განსხვავდება ხალხისაგან; ხალხი ჯოგია, მეფე დმერთია. ერთი თავი რომ ებას ხალხს, მას ერთი დაკვრით გაავაგებიებდიო. კალიგულას მანტალიტისა არიან ჩვენი დროის უზურპატორები. შეხედეთ რა ხდება, ოცი წლის განმავლობაში, დედა-მიწის ერთ მეექვსედნზე. ადამიანი სავსებით პიროტყვად ქცეული. ყლეთენ ხალხს ათი ათასობით. მსხვერპლები უკვე მილიონებს აღწევს. სისხლის ღლეები. დახოცილთა მთები. დაშთენილთა ოხვრა, კენესა. იღუპება ქვეყანა. არვინაა განმკითხავი. არსაიდან ხსნა. ასეთ ქვეყანას სახელმწიფოს ეძახიან, მასთან ურთიერთობა აქვთ და მასთან ერთად ქვეყნის დაღაგებას, მოწყობას ლამობენ.

ქეშმარიტად, o tempora! o mores!

მაგრამ დღეს გასაკვირი არაფერია, რადგან მოწამლულია საერთო, საკაცობრიო ფონი. ცხოვრება უდაბნოდაა ქცეული. მართალია, აქა იქ ოაზისებს ვხვდავთ, მაგრამ აქაც ძლიერ შექრილია სტიქიონის მრღვევი ელემენტები.

ადამიანში ორი არსება ბუდობს: ცხოველური და ადამიანური. ამ ორ არსებას შორის განუწყვეტელი და დაუნდობელი ბრძოლაა. ცხოველური



მხარე ადამიანს საერთო ნეგაციისაკენ, დამხობისაკენ, ბარბაროსობა-სიტლანქისაკენ მიაქანებს. ღვარძლი, შური, სიხარბე, ვიწრო ეგოიზმი, დაუნდობლობა, ზიზღი ყველასი და ყველაფრისადმი ამ ცხოველური ბუნების ფუნქციები.

ადამიანური არსება ადამიანს თვით და საერთო დამკვიდრებისაკენ, ამაღლება-შემოქმედებისაკენ, სათანოება-სიმპატიისაკენ ექაჩავება. სიყვარული, თანაგრძნობა, ადამიანის პატივისცემა, გატანა, მინდობა და მონდობა, მისთვის თავდადება ადამიანური ბუნების თვისებებია.

ადამიანური ბუნება ოჯახის, საზოგადოების, ერის, კაცობრიობის საძირკველია. სუსტდება და იშლება ეს ბუნება, სუსტდება და იშლება მათე აგებული ორგანიზმები.

არის მომენტები, როდესაც, საერთო საკაცობრიო წრეში მხეცური ბუნება სძლევს ადამიანურს. ეს მომენტები ძვირად უჯდება კაცობრიობას. შავი ზეწარი ეხურება მას. ოხვრით და კენესით, ტანჯვით და ვაებით ივსება მსოფლიო. ადამიანი პირუკუღმა დამხობილია, პატივ აყრილია, დამცირებულა. მოიშალა ადამიანი—თვით მიზანი, მოიშალა ცხოვრება, გაქრა მისი აზრი. ეს კატასტროფული პროცესია. იგი უკვე დაიწყო. სიმატლე-ქეშმარიტებამ წაიფორსილა. ბოროტება ცინიკურად დაგვიცინის, დროებით გამარჯვებას დღესასწაულობს. მედროვენი, ბნელეთის მოციქულნი, ქვეწარმავალნი სოროებიდან მოძვრებიან და გათანხირების, ზნედაცემულობის, მონობის დროშას აფრიალებენ. აფურთხებენ მას, რაც ადამიანისთვის წმინდათა წმინდაა, მაღალია, მომხიბლავია.

მიჩვენეთ მე დედამიწის ისეთი კუთხე, სადაც ოდესმე ადამიანის იმდენი სისხლი დანთხეულიყო. რამდენიც საბჭოების ქვეყანაში დაინთხა. მიმიცით თეთ მე კაცობრიობის ისტორიის იმ მომენტზე, როდესაც ოდესმე რომელიმე ქვეყანაში ცინიზმს, გაიძვრობას, ფარისევლობას, სიცრუეს, გამცემლობას, მზაკრობას ისეთი გასავალი ქონოდეს, როგორც ბოლშევიზმის სამეფოში აქვს.

და ყოველივე ამას შევეჩვიეთ (შევეგუეთქვა, არ ვამბობ). ადამიანი ისეთი არსებაა, რომელიც ყველაფერს ეჩვევა. ძველად რომ ერთი ავაზაკი სადმე ჩამოეჩხოთ, მთელი მსოფლიო შეინძროდა, დღეს კი ათი ათასობით ქლეტენ საზოგადოების უსაღეს უსაჭიროეს პირებს და არაფერი. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ყოველდღიური ცხოვრების თითქმის მიუცილებელი ელემენტი.

სახლი იწვის, ქურდბაცაცები მყისვე იქ არიან. იტაცებენ განძეულობას. ბილწავენ წმიდა საგნებს. ცხოვრების ძალები აშლილია. საითაც არ უნდა გაიხედო, რომელი დარგიც არ უნდა აიღო, ყველგან დამაფიქრებელი სურათია. უმთავრესი დამახანსათებელი თვისება თანამედროვე ხანის მისი დემორალიზაციაა. მორალი იდევნება განსაკუთრებით სახელმწიფო საქმიანობიდან. სახელმწიფოთა ურთიერთობაში ეთიკის ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი არ ასრულებენ. მაგ., წინად საომარ მოქმედებებს ომის გამოცხადება, დიპლომატიურ წარმო-

მადგენლების გაწვევა უძლოდა წინ. დღეს კი ქვეყნებს იპყრობენ ომის გამოუცხადებლად და, რაც მეტად გაუგებარი და გასაკვირია, დიპლომატიური კავშირის გაუწყვეტლად. ომის გამოცხადებას სამხედრო მოქმედების დაწყებამდე თავისი აზრი ქონდა, გაეფრთხილება მშვიდობიანი მცხოვრები და მით, რაც შეიძლება, ნაკლები ზიანი მიეყენებია მისთვის, დღეს კი ტოტალიტურ ომს ქადაგებენ და აწარმოებენ, ე. ი. ხალხის მასიურ და, თუ შეიძლება, სრულ გაყულებას.

ამბობენ, პოლიტიკა არაა სუფთა საქმეო. არაა ეს მართალი. პოლიტიკაცაა და პოლიტიკაც, ვის ხელშია და რას ემსახურება ის. პოლიტიკა, სისწორით წარმოებული, უდიდესი ხელოვნებაა და ურთულესი ოპერაცია. მიზანი ქვეყნის კეთილდღეობაა და რომ ეს მიზანი მიღწეულ იქმნეს, იქიდან ბოროტი ნებისყოფა უნდა განიდევნოს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ქვეყნის ბედი თვით ხალხის ხელშია, სადაც საზოგადოებრივი აზრს წონა და გასავალი აქვს. იქ კი, სადაც საზოგადოებრივი აზრი, ხალხი არაფერია და ერთი კაცის სურვილი კი ყველაფერი, პოლიტიკა, უმეტეს შემთხვევაში, თავის ბუნებრივ დანიშნულებას ცდება და განდიდებულ პიროვნების ბოროტი სულის მანიფესტაციით ხდება. ამის მაგალითებს დღევანდელი ცხოვრება უხვად იძლევა.

ჩვენ პოლიტიკაზე შევჩერდით. ადამიანის აქტივობის სხვა დარგებიც აშლილია. ყველა მოვლენების ჩამოვლა და განხილვა შორს წავაციყვანდა.

კაცობრიობა, უქვევლია, დიდ კრიზისს განიცდის. მას ახალი ბაზა, ახალი სტრუქტურა და, რაც უმთავრესია, ახალი სული ესაჭიროება. ჩვენ პესიმისტი არასოდეს ვყოფილვართ, არც ბრმა ოპტიმიზმით ოდესმე შეპყრობილი. ჩვენ ვგრძნობთ მდგომარეობის სიმძიმეს, მაგრამ გვწამს ადამიანი, მისი მაღალი დანიშნულება, მისი ბედნიერი მომავალი. გვწამს, რომ გაიმარჯვებს სიმატლე-ქეშმარიტება, ამობრწყინდება ერთა და კაცობრიობის თავისუფლების და ნეტარების მზე. ამ რწმენით და იმედით ჩვენ შევყურებთ მომავალს. ეს რწმენა გვასულდგმულებს და გვამოქმედებს.

ილია ნუჯუმბიძე.

მეზოკანდუში ერთა ლიბანს

მიმართვა ერთა ლიგის მე-18 ყრილ. თავჯ. ალა ხანს

ბ. თავმჯდომარე, ქვემო ამისა ხელის მომწერო, კავკასიის (აზერბაიჯანის, ჩრდილო-კავკასიის და საქართველოს), თურქისტანის და უკრაინის ერების წარმომადგენლებს, გვაქვს პატივი წარმოუდგინოთ თქვენს ბრწყინვალეებს მოხსენება ს. ს. რ. კავშირის და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ.

ჩვენ არაერთხელ აღვძარით საკითხი ჩვენი ერების განთავისუფლებისათვის და მივაქციეთ ყურადღება იმ მძიმე და აუტანელ მდგომარეობას, რომე-



ლიც გაბატონებულია ს. ს. რ. კ-ში. მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და თვით ერთა ლიგა ფიქრობს, რომ ს. ს. რ. კ-ი გარდამავალ პერიოდს განიცდის და იქ დამკვიდრებული რეჟიმი დევნისა და შევიწროების დროებითია.

ხოლო შეუძლებელია ამ შეხედულობის დაცვა ამჟამად, როცა დიდმა კრიზისმა ერთიან შერაცხია საბჭოთა კავშირი და ამას თვით საბჭოთა მთავრობა აღიარებს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ერთა ლიგა და ყველა ის, ვინც ცდილობს ნამდვილი, ე. ი. სამართლიანი, მშვიდობიანობის დამყარებას, იპოვიან ამ მოხსენებაში ს. ს. რ. კავშირის უკანასკნელ ამბების სასარგებლო განხილვას და ყურად იღებენ ამ მდგომარეობას, რომელიც დღით დღე უარესდება, და აგრედვე კავკასიის, თურქისტანის და უკრაინის ერების ურყევ გადაწყვეტილებას, რომ აღადგინონ თავიანთი დამოუკიდებლობა.

ხელს აწერენ: მირ იაკუბი (აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე), იბრაჰიმ ჩულიკი (ჩრდილო კავკასიის პარლამენტის თავმჯდომე-ა. მხანავი), აკ. ჩხენკელი (საქარ. ყ. ელჩი საფრანგეთში), ბაქირი (თურქისტანის ეროვნული კავშირის დელეგატის სახელით) და ა. შულგინი (უკრაინის ყ. საგარეო საქმეთა მინისტრი).

უენევა, 23 სექტ. 37 წ.

მოხსენება კავკასიის, თურქისტანის და უკრაინის ერების საკითხისათვის.

კავკასიის (აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის და საქართველოს), თურქისტანის და უკრაინის დამონებული ერების წარმომადგენლებს კარგად ესმით, რომ აწინდელი საერთაშორისო მდგომარეობა გაცილებით უფრო დამძიმებულია და გართულებული, ვიდრე იყო უკანასკნელ წლებში, როცა მათ მოახსენეს ერთა ლიგას თავიანთ გასაპირის შესახებ და წარადგინეს მათი ერების მოთხოვნანი.

ამ ვითარებაში, შეიძლება, ამოც იყოს, იმედი ვიქონიოთ, რომ მსოფლიოს ყურადღება მივაქციოთ იმ ერებზე, რომელიც რამდენიმე წელია დამონებულია არიან, სწორედ მაშინ, როცა სხვა ერებმა ესეცაა თავისუფლება დაჰპარგეს ან საცაა უნდა დაჰპარგონ. ხოლო არის მეორე მეტად მძიმე და დამბრკოლებელი გარემოება: ესაა უენევის საერთაშორისო დაწესებულების გავლენის შესუსტება. არავინ იფიქრებდა ამ ათიოდე წლის წინად, რომ ერთა ლიგა დაკმაყოფილებოდა უბრალო მაყურებლის როლით იმ დიდი მოსულობის ამბების წინაშე, რომელთა მოწამენი ვართ დღეს და რომელთაც შეიძლება დამღუპველი შედეგებიც მოჰყვეს მთელი კაცობრიობისათვის.

არ ვეძებთ ამ სამწუხარო მოვლენების მიზეზებს, ხოლო აღვუხსნავთ, რომ ს. ს. რ. კავშირის მიღება ერთა ლიგაში არ იყო მცირეთავანი ამ მიზეზებში.

განა აშკარა არაა ყოველი შეგნებული ადამიანისთვის, რომ წყარო იმ საერთაშორისო მორალის დაცემის, რომელსაც დღეს ყველა ქვეყანა დასტირის, მომდინარეობს კრემლიდან, რომელიც დაუნ-

დობლად ებრძვის უფლების, სამართლის და სინდისის შეგნებას, რასაც ის უწოდებს «ბურჟუაზიულ კრუმორწმუნებას» და რაიც ნამდვილად წარმოადგენს დღევანდელი ცივილიზაციის საფუძველს?

ყველამ უწყის, რა ფასიც აქვს საბჭოთა მთავრობის სიტყვას ან ხელის მოწერას. თანახმად ლენინის პრინციპისა, რომელიც ამბობდა, რომ ყოველი საშუალება დასაშვებია, თუნდაც ყოველად უზნეო იყოს, ოღონდ კი მიზანს მივადწიოთო, კრემლის ბატონებმა საკუთარი მათი მეთოდის შემწეობით თითქმის ყოველ სახელმწიფოში მოაწყვეს ბუდე აღრევისა და დაშლისა. კომუნისტური პარტიები ყველგან მოსკოვს ემორჩილებიან; ისინი არსებითად მოწინააღმდეგეთა ბანაკს ემსგავსებიან და ყოველ წუთს მზად არიან, ზურგში ჩასცხონ მახვილი საკუთარ სამშობლოსვე, თუ ამას უბრძანებს მათ უცხოელი ბატონი. ისტორიამ არ იცის სხვა მსგავსი მდგომარეობა!

მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეები იტყვიან, რომ ს. ს. რ. კავშირის მთავრობა მშვიდობიანობას უჭერს მხარს და სხვებთან ერთად იცავს მას. ხოლო ეს პირები საუბედუროდ იგოწყებენ, რომ ამ მთავრობას მუდმივი ომი აქვს საბჭოთა ერებთან და იგი ყველგან მომავალი ომის ჩანასახებს სთესავს.

მეტად გამწვავებული კრიზისი, რომელიც ამჟამად მძვინვარებს ს. ს. რ. კავშირში, უეჭვოდ ხდის თვით საბჭოთა რეჟიმის მოახლოებულს დასასრულს. სხვაფერ როგორ უნდა ავსნათ ტერორის გაძლიერება, რომელიც, ერთი წელიწადია, მოედვა უზარმაზარ იმპერიას? ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტერორი იქ არაჩვეულებრივი მოვლენაა—იგი ყოველთვის თან სდევდა ბოლშევიკების წყობილებას, ხოლო განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ ტერორი დღეს მიმართულია რეჟიმის უკანასკნელი დასაყრდნობის, კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

უნაყოფო იქნებოდა ცდა ტერორის მსხვერპლთა რაოდენობის აღსანუხსნავად. დრო და დრო ქვეყნიერების ყურამდე მოაღწევს ცნობა, რომ ესა და ეს ცნობილი მოღვაწე გაასამართლეს და დახვრიტესო. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ აგრე წოდებულ «ლენინის გვარდიიდან» ცოცხალი და თავისუფალი ერთი და სტალინია დარჩენილი. ხოლო რამდენი უსახელო და უცნობი იხვრიტება გაუსამართლებლად ყოველ დღე? გარდა ამისა გეპეუს სარდაფებში, სატუსაღოებში, კატორღებში, საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეა არაა ახალ-ახალი განწირულების, ძალიან ხშირად თვით კომუნისტების.

ეს სისტემატური მასური წმენდა გავრცელებულია ყველა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამეცნიერო დაწესებულებაზე: ადგილობრივ მართველესა და კომისრებზე, ჯარის მთავარ შტაბზე, ქარხნების, მღარაობის, კოლმეურნეობის და ვაჭრობის გამგებზე, უნივერსიტეტების და სპეციალურ სასწავლებლების სამასწავლებლო პერსონალზე და ყოველ ორგანიზაციაზე—პარტიასა, სინდიკატებსა, კოოპერატივებსა, კომუნისტურ ახალგაზდობაზე და სხ.



იმის გასაგებად, თუ რას აბრალებს დიქტატორის მარჯვენა ხელი ეყოფი ურიცხვ დასჯილებს, უნდა მივმართოთ მთავარ პროკურორს ვინისკის, რომელმაც აღწუსა მათი დანაშაული თავის პირველ საბრალმდებლო სიტყვაში ზინოვიევის, კამენევის და სხვების პროცესზე. კაპიტალისტური სისტემის აღდგენის ცდა და ამასთან დაკავშირებით უმალესი ღალატი, მსტოვრობა, საბოტაჟი—აი ყველა ეს დანაშაული, რომელიც მონათლულია ერთი სახელით—ტროცკიზმით. სულ ბოლოს დროს, მართალია, ერთი ახალი ბოროტმოქმედებაც აღმოაჩინეს: ბავშვების მასური მოწამლვა, ეს იმ განზრახვით, რომ შესდგომოდნენ ქალების დახვრეტას, განსაკუთრებულთ.

ამგვარად ს. ს. რ. კავშირი ჩათრეულია ინტენსურ ტერორის ტალღებში, რომელიც თანდათან იზრდება. არავინ, თვით კრემლის ხელმძღვანელ პირთა შორის, არაა უზრუნველყოფილი; ყველა გამოღვიძებულია დილით ადრე, გათენებამდის—ეს ის დროა, როცა ჩვეულებრივ ჩეკისტები თავის მსხვერპლებს ესტუმრებიან გასაჩხრეკად. იოანე მრისხანის და მისი ოპოზიციკების დრო ქვეშაბრტყად მოსაგონი არაა სტალინის რეჟიმთან შესადარებლად.

დასავლეთში არ უნდა დარჩეს ერთი შეგნებულის და პასუხისმგებელი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს რაიმე ილუზია იქონიოს, როგორც წინად, ს. ს. რ. კავშირის ამბების შესახებ. ამაო და მანებელი ყოველი ანგარიში, თითქოს შესაძლებელი იყოს აგრე წოდებული ევოლუცია, ე. ი. ნორმალური და სტაბილური მდგომარეობის გზაზე მშვიდობიანი დადგომა. არასოდეს ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა დაწესებულება არ ყოფილა ასე მოშლილი და გახრწნილი ზნეობრივად. ამის დასამტკიცებლად სრულებით საჭირო არაა დავიმოწმოთ მრავალი უცხოელი, იმედ ვაცრუებული, მიომხილველი—მწერალი თუ მუშა. ამას ხომ თვით კრემლის ბატონები აღიარებენ. დაბეწლება ყველა კომუნისტის—მცირეთა და ისეთების, რომელთაც დიდი თანამდებობანი აქვთ ცენტრში თუ განაპირა ადგილებში,—ეს განა თავისუფალი აღსარება არაა? რასაკვირველია, ლაპარაკი არაა არა-კომუნისტებზე, ე. ი. მოსახლეობის 99 პროცენტზე, რომელთაც მთელის თავის არსებით ეწინააღმდეგება ეს მოძალადენი და ელოდებიან, დროს, რომ სამაგიერო მიუზღონ მათ.

მარშალ ტუხაჩევსკის და წითელ არმიის სხვა შვიდი სარდლის დახვრეტა სულ ახალი ამბავია და საჭირო არაა იმის გახსენება, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამან მთელ დედამიწაზე. კომუნისტურ წყაროდან გამოსულ უკანასკნელ ცნობებით, ეს გენერლები არც კი გაუსამართლებიათ და მათი სიკვდილით დასჯის განაჩენი შედგენილი იყო ეყოფის ბიუროში და მოსამართლეებმა—გენერლებმა (დასჯილების ადგილი რომ დაიკავეს, ხოლო ღირსებით მათ ვერ დაეტოვებინან) ხელი მოაწერეს დახვრეტის შესრულების შემდეგ! დიქტატორი, რომელიც ჯარის თავის მოკვეთას არ დაერიდა,

რომ ამით ძალაუფლება შეინარჩუნოს,—ცხადად ამჟღავნებს, რომ ყოველი წინასწრობა დაპატივება და შეპყრობილია ტერორის პალეონატიებით.

ამ სისხლიანი სიგიჟის ერთი შედეგთაგანი ის იყო, რომ დღეს ასე ნაკლებად ლაპარაკობენ და სწერენ სტალინის «ყველაზე უდემოკრატიული» კონსტიტუციის შესახებ. ახლა უკვე აღარავის აქვს ეჭვი, რომ ეს საქმე წამოწყებული იყო ერთად ერთი მიზნით, რომ ქვეყანა გაეკვირვებიათ და მოსკოვის გაგლეხა გაეძლიერებინათ უცხოელ სახელმწიფოებზე.

რაც შეეხება ს. ს. რ. კავშირს, იქაური მკვიდრი ერები არასოდეს ყოფილან ბრევეები. მაგრამ თვით კონსტიტუციის ტექსტი არ მალავს, რომ მისი ავტორი სრულებით არ ფიქრობს, აღსნავადაც არის შეარბილოს აწინდელი რეჟიმი. ამისთვის საკმაოა ზოგიერთი აშკარა პარალელის გაკეთება.

«კონსტიტუციის 125, 127 და 128 მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სიტყვის, პრესის და კრების თავისუფლებას და მოქალაქის, მისი ბინის და კორესპონდენციის ხელუხლებლობას, წინასწარ გაუქმებულნი არიან მეორე მუხლით, რომელიც აცხადებს «ს. ს. რ. კავშირის საფუძვლად პროლეტარიატის დიქტატურას». 135 მუხლი ადგენს საყოველთაო კენჭის ყრას ყველა მოქალაქისთვის განუჩრეველად სქესისა. ხოლო 126 და 141 მუხლები უმალეს საბჭოს (პარლამენტის) კანდიდატების არჩევას ანიჭებს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ითვლება «ყველა სოციალურ ორგანიზაციისა და სახელმწიფოს მმართველ ღერძად». 30 მუხლის ძალით უმალესი საბჭო გამოცხადებულია ს. ს. რ. კავშირის ხელმწიფობის უმალეს ორგანოდ, ხოლო 49 მუხლი მთელს ძალაუფლებას აძლევს პრეზიდიუმს, ანუ უფრო სწორად, მის თავმჯდომარეს, რომელიც უთუოდ თვითონ დიქტატორი იქნება. 10 მუხლის თანახმად კანონი იცავს შემოსავლის, შემოსახელის და საცხოვრებელ ბინის ინდივიდუალურ საკუთრებას, აგრედვე მემკვიდრეობას, მაგრამ 4 მუხლი აცხადებს, რომ «ს. ს. რ. კავშირის ეკონომიური საფუძველია სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება, დამყარებული როგორც შედეგი კერძო საკუთრების გაუქმებისა».

(დასასრული იქნება)

მოსკოვი ეპიკოსის საბჭოთა კავშირის ეპიკოსი (Volk. Beob. 10 ოქტომ. ნუმერი)

დევნათა აწვირთებამ, რომელსაც მოჰყვა დახვრეტები სტალინის უახლოეს თანამშრომლებისა სახელმწიფოსა, პარტიასა და ჯარში, ერთი ფაქტი აშკარა ჰყო, რაც აქამომდე გულმოდგინებით იფარებოდა. ვინც საბჭოთა კავშირის პრესას თვალყურს ადევნებს, მას თვალში ეცემა, რომ საბჭოების მთელ ტერიტორიაზე ხელმძღვანელ მოხელეთა დევნა დიდი მასტაბით ჩატარდა. დედამიწის ერთი მეექვსედის, როგორც ამას თვით ბოლშევიკები დიდი პათოსით აღნიშნავენ, მცხოვრებნი «მეთვალყურა-



ბის და წმინდის» საშინელებას განიცდიან, ე. ი. ყველას, აზიის შორეულ მივარდნილ კუთხეებშიც კი, ვინც სტალინის და მის ებრაულ-ბოლშევიკურ ხროვას საექვოდ მიაჩნია რაიმე მიზეზის გამო, ატუსაღებენ, ასამართლებენ, ასახლებენ, ან ხვრეტენ. საბჭოების პრესაში უფროდაუფრო ხშირად აღინიშნება, თუმცა ამ მხრივ დიდ თავდაპირვალ იჩენს, რომ დევნილნი ისჯებიან არა მარტო ტროცკისტობისა და ბუხარინისტობისათვის, არამედ იმიტომაც. რომ სეპარატისტები არიან. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, თუ მას მიუდგებით ერთა პოლიტიკის თვალსაზრისით. და აქ ღირსშესანიშნავია, რომ სდევნიან სწორედ ეგრედ წოდებულ საბჭოების ავტონომიურ რესპუბლიკების ხელმძღვანელ კომუნისტებს, რომელთაც აბრალევენ სამშობლოს დალატს და მსტოვრობას იაპონის, პოლანეთის და გერმანიის ფაშისმის სასარგებლოდ.

საყურადღებოა, რომ ამ უკანასკნელ ბრალდებას უფრო ხშირად აქვს ადგილი საბჭოების პრესაში არჩევნების მოახლოებისას. რამდენიმე დღის წინად «პრავდაში» დაიბეჭდა წერილი, სადაც გაზეთი მიმართავდა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომ ისინი არჩევნებისთვის მოამზადოს და ახალი კონსტიტუცია მიმზიდველად დაუქატოს. ამ წერილში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მშრომელი მასები სტალინის კონსტიტუციას დიდი სიმპატიით შეხვდნენ, მხოლოდ ბურჟუა-ნაციონალისტები კი მის მნიშვნელობას და სიდიადეს უარყოფენ. თუ წერილი მკითხველს არწმუნებს, რომ საბჭოების ერები მსოფლიოს ერთგულები არიან, იქვე დასკვნაში იმაზედაც უთითებს, რომ საქირთა სიფხიზლის გამახვილება და თვალყურის დევნება ნაციონალისტ-მოხელეთა და მათი დათხოვნა ადგილებიდან, სადაც ისინი კიდევ ბლომად არიან მოკალათებულნი, მიუხედავად მიღებულ ზომებისა.

რამ გამოიწვია ესეთი ნერვიულობა საბჭოების წრეებში, რომელსაც წერილი ამჟღავნებს?

ამაზე პასუხს იძლევა ანლოხან «იხვესტიაში» (5. 9. 37) დაბეჭდილი სახელმძღვანელო წერილი, სათაურით: «მტკიცე და შეურყეველია საბჭოთა კავშირის ერთა მეგობრობა». პათოსური რაზა რუსი, რომლითაც წერილია დაწერილი, სულ სხვა აზრს შეიცავს, თუ მის შინაარსს ჩაუკვირდებით. უწინარეს ყოვლისა წერილი ამტკიცებს, რომ საბჭოებს ძალუძთ ფაშისმის დაუპირდაპირონ მეგობრობა 160 მილ. ერთა, რომელნიც შეერთებულნი არიან ნებაყოფლობით, ურთიერთ ნდობით აღჭურვილნი (თუ რა «ნებაყოფლობაზე» აქ ლაპარაკი, ამის გასაღებს იძლევა გამუდმებული ბრძოლები ხელისუფლებისა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ განაპირა ქვეყნების ერთა წინამდევს).

ოფიციალური ორგანო, ლაპარაკობს რა ერთა ბედნიერ და კმაყოფილ ცხოვრებაზე, სრულიად ულოღიკოდ გადადის «სეპარატისტთა» ინტრიგებზე.

ამგვარად სულ იოლია ჭეშმარიტი დასკვნების გაკეთება ერების «კმაყოფილების» შესახებ. სიტყვა სიტყვით ნათქვამია: «უკრაინის ნაციონალისტები,

დაშნაკელები, მუსავატისტები, პანთურქისტები, პანსლამისტები, ქართველი მენშევიკები, ბელარუსი ნაციონალისტები და ველიკორუსი მოვინისტები»—ეს სულ მცირე ნაწილია იმ ძალების, რომელნიც საბჭოთა კავშირს ებრძვიან. შემდეგ წერილი იდან ირკვევა, რომ დაშნაკელებს დიდი გავლენა ჰქონიათ სომხეთში, ისე როგორც მუსავატელებს აზერბაიჯანში. შემდეგ საინტერესოა აღინიშნოს, რომ პანთურქული და პანსლამური მოძრაობა, რამდენად აქ სარწმუნოება და სისხლი თამაშობს როლს, უცნობი არაა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოები მოწყვეტილია მთელს მსოფლიოს, კულტურული და ეროვნული ნათესაობის შეგნება კიდევ ცხოველია. კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგში მოღალატეთ შესძლეს უმაღლესი პოსტების დაკავება, რათა იქიდან საბჭოთა ხელისუფლებას ძირი გამოუთხარონ. თავისთავად ცხადია, მრავალრიცხოვანი ბრალდებულნი ბელორუსნი და უკრაინელები «პოლანეთ-გერმანიის ფაშისმის სამსახურში» არიან. ეს უნებლიეი აღსარება აქ არ თავდება. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო ნერვიულობს ხელისუფლება, რომ მიუხედავად მრავალი თადარიგისა არჩევნებში ერთა უკმაყოფილებამ არ ჰპოვოს გამოსახულება. ჩვენ დავასახელებთ წინამდებარე პრესიდან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. უცხოეთში ცნობა მოვიდა, რომ უკანასკნელ დროს კავკასიაში, ბელორუსეთში, უკრაინაში პასუხისმგებელნი მოხელენი იქნენ გადაყენებულნი, ან დათვითმკვლელობით გაათავეს სიცოცხლე, როგორც ლიუბჩენკამ კიევიში.

ესლა ვტყობილობთ, რომ («იხვესტია» 21. 9. 37) ბურჟუა-ნაციონალისტები აგრედვე დაღესტანშიც მოქმედებენ. საქართველოში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ბრალდება წაუყენეს, რომ კავშირი ჰქონდა ერთ უცხო სახელმწიფოსთან, რათა აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა მისი. პროტექტორატის ქვეშ. აგრედვე ბაშკირთა რესპუბლიკაშიც აღმოაჩინეს («იხვესტია» 23. 9. 37) ბურჟუა-ნაციონალისტები, რომელთაც პარტიაში და სახელმწიფოში დიდი ადგილები დაიკავეს და ბოლშევიკურ ხელისუფლებისათვის მანებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ადგილობრივ პასუხისმგებელ პირთა სრული დაუდევრობით და პოლიტიკური სიბრძავით აისხნება, რომ ასე ფართოდ ჰქონდა ადგილი იაპონია-გერმანიის ფაშისტების აგენტების გამხრწნელ მუშაობას. მთელი რიგი პასუხისმგებელი ნაციონალისტი, რომელნიც დღემდე კომუნისტები იყვნენ, გადაყენებულნი არიან და ელიან სასჯელს. ბაშკირთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატში საქე ბურჟუა-ნაციონალისტებს ეჭირათ ხელში და ბეჭდავდნენ ანტისაბჭოურ სამოსწავლო წიგნებს («იხვესტია» 22. 9. 37).

ასეთივე დამარღვეველი მუშაობა სწარმოებდა ბუჩიატების და მონგოლების საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც «კომუნისტებმა ბურჟუა ნაციონალისტების ნიღბი ჩამოისხნეს, როგორც «პრავდა»-ს (22. 9. 37) ერთი წერილი აღნიშნავს. აქაც იაპონიის მსტოვრები და ფაშისმის მონები საბოტაჟით შეხვ-



დენ მოსკოვის განკარგულებებს. ამიტომ ისინი სა-
მსახურიდან დაითხოვეს.

თუ რამდენად შორს მიდის მტრობა იუდა-ბო-
ლშევიკური მოსკოვის წინამდევ, ამას ცხადპყფს
შემდეგი ოფიციალური ცნობა. დაღესტნიდან იტ-
ყობინებიან, რომ ნაციონალისტებმა, ბოლშევიზმის
ნიღაბ ქვეშ, სკოლებიდან რუსული ენა გამოაძივეს
და მის ალაგას არაბულ-თურქული შემოიღესო.

მოსკოველ ექსპლოატატორთა თავისებურ შე-
ხედულების ქვენა საფუძვლების ახსნას იძლევა შემ-
დეგი დეტალები «არავდის» (25. 9. 37), რომლის მი-
ხედვით, ნაციონალისტები უკრაინაში მუწეუმში
მოსკოვის საწინამდევო მუშაობას ეწვეიან. ეს ბუ-
რუუა-ნაციონალისტების ბანდა ჩემლავს დოკუმენ-
ტებს უკრაინის ისტორიიდან, სწორედ იმიტომ,
რომ ეს დოკუმენტები ააშკარავებენ განუწყვეტელ
კავშირს, რომელიც უკრაინისა და რუსის ხალხებს
აერთებს. და როდესაც შემდეგ ნათქვამია, რომ ამ
«პოლონეთ-გერმანიის ფაშიზმის აგენტებმა» მიზნად
დაისახეს ყველაფერი მიმალონ, რაც «რუსისა და
უკრაინის ხალხთა ძმობასა და კავშირზე» ლაპარა-
კობს, ამით სავსებით ცხადი ხდება მთელი ასრი ზე-
მო აღნიშნულისა.

თუ ერთი მხრით ეს «წმენდის» ზომები, რომე-
ლიც საბჭოების ყოველ კუთხეშია მიღებული, ამ
ზადებენ ნიდაგს არჩევნებში სტალინის მომხრეე-
ბის გასაყვანად, მეორეს მხრით აშკარაა, რომ აქ
მხოლოდ ერთი დღის პოლიტიკა კი არ არის, არა-
მედ საზოგადო საშინაო პოლიტიკაა დასახული.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აქ
«თვითკრიტიკასთან» კი არა გვაქვს საქმე, არამედ
საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოე-
ბის ოფიციალურ მტკიცებებთან. ამით მოსკოვის
მთავრობა თვით აღიარებს, რომ მის მიერ დაპყრო-
ბილი ერები მასთან თავდაცვის და ბრძოლას აწა-
რმოებენ.

ვისაც საბჭოთა პრესის გაგება შეუძლია, მისთ-
ვის ძნელი გასაგები არ იქნება, რომ მთავრობა ყვე-
ლაფერს ზომას ხმარობს და იხმარს, რომ ერთა მი-
სწრაფებანი ჩანასახშივე ჩაჰკლას და მათი თვითშე-
ცნობის ყოველივე ამოძრავება ამოფხვრას. მიუხე-
დავად კრემლის ოცი წლის ბატონობისა, რომელ-
საც ეგრედ წოდებულ ავტონომიურ რესპუბლიკებ-
ში ერთა დასათრუნავად ჯოჯოხეთური სისტემის
აგენტების მთელი არმია ჰყავს, მან (კრემლმა) ვერ
შესძლო ეროვნული თვითშეგნების მოსპობა. გინც
ბოლშევიკურ რევოლუციის დასაწყისში იუდელ
აგენტების მომხიზლავ დაპირებებით შეცდომაში
იქნენ შეყვანილნი, დღეს მათ ბოლშევიკურმა სისხ-
ლიანმა სინამდვილემ თვალები აუხილა და არამც
თუ პირი იბრუნეს ბოლშევიკებისაგან, არამედ ბრ-
ძოლაც გამოუცხადეს. დღეს სტალინი საბჭოთა
ერების სიმტკიცეზე ლაპარაკობს და აცხადებს მათ
განუყოფელ მეგობრობას მოსკოვის სახელმწიფოს-
თან, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს მტკიცება ფაქტიუ-
რი სინამდვილით აშკარად უარყოფილია.

იაპონიის მოქმედების მიზნები ჩინეთში (ინტერვიუ იაპონიის გენ. შტ. წარმომადგენელთან *)

ვარშავაში გზად გამოვლილ იაპონიის გენერა-
ლური შტაბის ჩინეთის განყოფილების უფროსმა
კოლონელმა ტან-ტაკაჰაშიმ მიიღო პოლონეთის
ურნალისტთა ჯგუფი, რომელთაც მიაწოდა მეტად
საინტერესო ინფორმაცია შორეულ აღმოსავლეთში
შექმნილ მდგომარეობის განვითარების შესახებ.

იაპონიის სამხედრო მოქმედებანი ჩრდილო ჩი-
ნეთში ვითარებიან რკინის გზის ლიანდაგის გასწე-
რივ პეკინ-ჰანკოუ და ტიენტსინ-პუკაუს ხაზზე. ია-
პონიის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე არ-
სდება საზოგადოებრივი დაცვის ადგილობრივი კო-
მიტეტები; აქ წარმოდგენილნი არიან ჩინეთის ანუ
მონგოლეთის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც
დაინტერესებულნი არიან წესიერების და მყუდრო-
ების დამკვიდრებაში, რასაც თან ჰყვება ეკონომიუ-
რი კეთილდღეობა.

ჩინეთში იაპონიის მოქმედებას მიზნად აქვს და-
სახული: 1) ჩინეთის განთავისუფლება ყოველგვარ
კომუნისტურ გავლენისაგან, 2) მანჯუკუოს და ჩი-
ნეთს შორის დამოკიდებულობის მოწესრიგება, 3)
გზების გახსნა იაპონიის ეკონომიურ ექსპანსიისათ-
ვის, რომლის მრეწველობის განვითარება მანჯუ-
კუოში გაბატონების შემდეგ სამჯერ გაიზარდა.

ტაკაჰაშიმ აზრით 400 მილიონიანი ჩინეთის ერთ
არ არის იაპონელთადმი მტრულად განწყობილი.
ხოლო დღევანდელ კონფიქტის სათავეა უპირვე-
ლესად ჩინეთში არსებული კომუნისტური გავლენა
და აგრედვე წინამდევობა დღევანდელ კუო მინტა-
გის მთავრობის, რომელსაც იმედი აქვს ინგლისის
დანმარებისა.

ტაკაჰაშიმ ხაზი გაუსვა საკმაოდ ნათელ განსხვა-
ვებას საბჭოების და ინგლისის პოლიტიკათა შორის
ჩინეთში: სახელდობრ—რამდენად ინგლისი მხარს
უჭერს ნანკინის მთავრობას იაპონიის წინამდევ,
იმდენად მოსკოვი კომინტერნის საშუალებით მისი-
წრაფვის დასაუსტოს ერთ და იმავე დროს იაპონიაც
და ჩინეთიც.

ტაკაჰაშიმ კატეგორიულად უარჰყო, თითქოს
ინგლისს და იაპონიას შორის, იაპონიის მეფის ძმის
თავად შიბიბუს ლონდონში ყოფნის შედეგად, ად-
გილი ჰქონდეს ჩინეთის დაყოფას ამ ორ სახელმ-
წიფოს გავლენათა სფეროებად.

დღეს იაპონიას, რომელიც ითვალისწინებს, რომ
მდინარე იანგ-ტსე-ს ხაზის გადალახვას სამხრეთის
მიმართულებით შეიძლება მოჰყვეს ლონდონთან
ურთიერთობის გაუარესება, გადაწყვეტილი აქვს
იბრძოლოს ჩინეთის წინამდევ კომინტანგის მთა-
ვრობის დაცემამდე, რადგანაც მან დაჰკარგა ყო-
ველგვარი იმედი ნანკინის მთავრობასთან შეთანხმე-
ბისა. სამავიეროდ იმედოვნებს, რომ დღევანდელი

*) პოლონური გაზეთი «გაზეტა პოლსკა» 1937 წ.,
7 ნოემბერი, № 309.



რეჟიმის დაცემის შემდეგ დამყარდება იაპონიისადმი მეგობრულად განწყობილი ხელისუფლება.

ტაკაჰაშიმ გამოთქვა ის აზრი, რომ მარშალ ჩანგკაი-შეკს ინგლისის დახმარების იდედი რომ არ ჰქონდეს, დღევანდელი სამხედრო მოქმედება ჩინეთში უკვე დასრულებული იქნებოდა.

შეერთებულ შტატების ინტერვენციის, მიუხედავად პრეზიდენტ რუზველტის ცნობილ დეკლარაციისა, იაპონიას არ ეშინია, რადგანაც სავაჭრო ბრუნვა იაპონიას და ამერიკას შორის გამოიხატება 1.300 მილიონ იენში, მაშინ როდესაც სავაჭრო ბრუნვა ჩინეთ-ამერიკას შორის ძლივს აღწევს 200 მილიონს წელიწადში. გარდა ამისა შეერთებული შტატები უსათუოდ დადებითად შეხვდებიან იაპონიის ექსპანზიის მიმართვას აზიის კონტინენტისკენ, რაც ნაიდაგს აცლის ამერიკის შიშს კუნძულ ფილიპინებთან და ჰავაის ბელის შესახებ.

იაპონია-საბჭოების დამოკიდებულ ობასთან დაკავშირებით ტაკაჰაშიმ შეეხო მონგოლეთის საკითხს. მაგალითად იაპონიის ჯარების მიერ ჩახარის და სუიუანის პროვინციების დაკავების გამო, რომლებიც შედიან ეგრედ წოდებულ შიდა-მონგოლეთის ფარგალში—აღმოცენდა ამჟამად ამ სივრცეზე მონგოლეთის ავტონომიური სახელმწიფო, რაც გავლენას მოახდენს როგორც გასაბჭოებულ გარე-მონგოლეთზე, აგრედვე ციმბირის იმ ოლქებზე, სადაც ბინადრობენ მონგოლთა ტომები (მაგ. ბურიატ-მონგოლთა ავტონომიურ რესპუბლიკაზე ბაიკალის იქითა მხარეში).

მონგოლთა ეროვნული თვისება, ტაკაჰაშის აზრით, გადაჭრით მტრულად განწყობილია კომუნისტებისადმი.

რაც შეეხება საბჭოებსა და იაპონიას შორის არსებულ უშუალო დამოკიდებულებას, ტაკაჰაშიმ განაცხადა, რომ იაპონია არ მიისწრაფვის შეიარაღებულ კონფლიქტისაკენ საბჭოთა რუსეთთან. თუმცა მზად არის წინააღმდეგს სასტიკი საშვალეებით შორეულ აღმოსავლეთში კომუნისტურ გავლენის გავრცელების ყოველგვარ კდას. ტაკაჰაშიმ აღნიშნა, რომ დღევანდელი ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტის თითქმის დაწყებისთანავე მოვიდა ჩინეთში დიდი ტრანსპორტი სამხედრო მასალებისა ვლადივოსტოკიდან და საბჭოთა შუა აზიიდან სინკიანგის (ჩინეთის თურქისტანის) პროვინციით.

ტაკაჰაშის აზრით იაპონიის ჯარების სამხედრო მოქმედებანი ჩინეთში ხელს შეუწყობენ იაპონიის და საბჭოთა შორის დამოკიდებულობის სრულ გამორკვევას იმ მხრით, რომ ან საბჭოები ლოიალურად იცნობენ იაპონიის დღევანდელ შეხედულებას აზიის კონტინენტის შესახებ და თავს გაანებებენ შორეულ აღმოსავლეთში კომუნისტების გავრცელებას, ან და საჭიროდ დაინახავენ ხელი მიჰყონ აშკარა ინტერვენციას, რაც, რასაკვირველია, იქნებოდა საბჭოების და იაპონიის ომი.

Otmar.

ძარბაზული კულტურული მუშაობა

ნეპოლის ინსტიტუტში

ჩვენი თანამემამულის შალვა ბერიძის ნაყოფიერ მუშაობამ ნეპოლის უმაღლეს აღმოსავლურ ინსტიტუტში უკვე მიიქცია იტალიურ შესატყვის წრეთა ყურადღება.

უწინ მიგდებული და მივიწყებული კავკასიის რეგიონის კათედრა, ქართველი სწავლულის აქტიური და ნიჭიერი ხელმძღვანელობით გამოცოცხლდა, განახლდა, ამოქმედდა.

დასახელებულ ინსტიტუტში ბ.მ. ბერიძემ შექმნა მსმენელთა ფართო წრე, რომელშიაც სპეციალურად არკვევენ და ამუშავებენ კავკასიის საკითხებს—ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ისტორიულ-არქეოლოგიურ თვალსაზრისით: მისახვედრია, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იტალიელთა ამგვარ მეცადინეობას კავკასიის ერების გაცნობისა და მათთან დაახლოებისათვის!

ამავე დროს შ. ბერიძე თავად ჰკრეფს აქაიკ მიმობნეულ მასალებს კავკასიის მოსახლეობათა შესახებ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მან აღმოაჩინა საამისო სხვადასხვა სახის ნაწერები და მათზედა გამოსცა რამდენიმე წიგნაკი იტალიურად და ფრანგულად. ამგვარ კვლევას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ნეპოლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას შეეძინა რამდენიმე იშვიათი ქართული მანუსკრიპტი, რომელნიც ამხნობამდის ინახებოდნენ ნეპოლის ანლომდებარე კაპუცინების მონასტერში:

Bernardo Maria da Napoli—კაპუცინების ორდენის მისიონერი (1630-1707). იმყოფებოდა როგორც მქადაგებელი საქართველოში 1670-დან 1680 წლამდე. კარგა შეუსწავლია ქართული ენა. შალვა ბერიძეს აღმოუჩინია ამ მონასტრის ორი ნაწერი ქართულად: 1) დღიური და, როგორც მისი დამატება, 2) დილოგი ორ ქართველს შორის. ამ ორთავე ნაწერს შ. ბერიძე არკვევს ინსტიტუტის ბიულეტენში (ცალკე გამოცემით) ფრანგულ ენაზე. დღიურში კათოლიკე მისიონერი იგონებს თავის ყოფნას საქართველოში, ქებას ასხამს ქართველებს მათი ღრმა რწმენისა და ქრისტიანობის დაცვისათვის. მისი სიტყვით, ქართველები მუდამ დიდ სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ უცხო მისიონერებისადმი. თვინიერ ამ ღირსებისა, იტალიელი კაპუცინის დაკვირვებით ქართველები ხალხით ეტანებიან სწავლას, მათ შორის არიან გამოჩენილი მწიგნობარნი და საზოგადოდ, როგორც ერთი, არის უხვად დაჯილდოებულნი ნიჭით...

დილოგში მისიონერ ბერნარდოს მოჰყავს საუბარი მართლ-მადიდებელ «ქალაქის ეპისკოპოსს» თეოფილესა და ქართველ კათოლიკე მისიონერ ვინმე დიმიტრის შორის. ეს საუბარი დამთავრებულა მართლმადიდებელის შერცხვენითა და დამარცხებით, რასაც შედეგად მოჰყოლია «მოქცევაი თეოფილესი»... შალვა ბერიძეს წიგნაკი სამწუხაროდ არ არკვევს, რა პუნქტებში ძღეულა «ქალაქის ეპისკოპოსის», ეს კი ინტერესს არ იქნებოდა მოკლებული

არც თუ აშკამად, რადგანაც ყოფილა შემთხვევები, როცა «დილოგს» ეწვეიან ორივე მხრივ გასაოცარი უეცრად!

მეორე წიგნაკში—Sciamyl—il Duce del Caucaso —შალვა ბერიძე მოკლედ არკვევს ორი მწერლის ნაწერს სახელგანთქმულ იმამზე: ფრანგი დრამატურგის Paul Maurice-სი და იტალიურ მკვლევარის Pietro Zoccone-სას. ბროზურას დართული აქვს ბიბლიოგრაფია შამილზე.

სასარგებლოდ მიმაჩნია აქვე ვამცნო მკითხველებს, რომ ცალკე წიგნაკად არის გამოცემული (ფრანგ.) ამავე ჩვენი სწავლულის საინტერესო მოხსენება ბიზანტოლოგიის კონგრესზე რომში 23 ოქტომბერს 1936 წელს ამ სათაურით: ბიზანტია, რომი და კავკასია.

რ. ინგილო.

წერილი ამერიკიდან

17 სექტემბერს შეერთებულ შტატებმა დიდი ენტუზიაზმით და პომპით იღვსასწაულა კონსტიტუციის «დაბადების» დღე. 150 წლის წინედ, ე. ი. 17 სექტემბერს 1787 წელს შეერთებულ შტატების წარმომადგენლებმა ოთხი თვის მუშაობის შემდეგ ქალაქ ფილადელფიაში ხელი მოაწერეს და დაამტკიცეს დღემდის ამერიკელისთვის საამაყო კონსტიტუცია.

ის გამოდგა დიდი წინდახედული კუმანიტარული დოკუმენტი არამც თუ თვით შეერთებულ შტატებისთვის, არამედ მთელი ქვეყნიერობისთვის.

ოთხი თვის განმავლობაში საკონსტიტუციო კონვენტმა, რომელიც შესდგებოდა 12 შტატის წარმომადგენელ 55 წევრისაგან ვაშინგტონის თავმჯდომარეობით, გაშინჯა ყოველნაირი კანონი ყოველი კულტურული ერისა. შედეგი იყო მარტივი, პატარა, მაგრამ მძლავრი თავისებური საბუთი. იმ დროს ყოველ ერის ყურადღება ამერიკისკენ იყო მიპყრობილი, ყოველ ერში გავრცელებული იყო ჯადოწიური სიტყვები:

«ამერიკა», «კონსტიტუცია», «ვაშინგტონი».

უეჭველია დოკუმენტმა დიდი გავლენა იქონია ორი წლის მერე მომხდარ საფრანგეთის რევოლუციასზე, თვით ინგლისელების აზროვნებაზე, იტალიასზე, გერმანიასზე და სამხრეთ ამერიკის მთავრობებზე.

ყოველ ამერიკელისთვის დღესაც სათუთია ეს მამა პაპიდან გადმოცემული დოკუმენტი. ხალხი დარაჯად უდვას მას და იცავს როგორც თავის უფლებას, რაც ახლახან დამტკიცდა როცა პრეზიდენტი რუზველტი თავის ლიბერალურ კანონმდებლობის გასაყვანად კონსტიტუციის უმაღლეს მსაჯულთა დებულების ნაწილს შეეხა.

დღემდის მისმა მორჩილმა კონგრესმა იურჩა და პრეზიდენტის წინადადება—უმაღლეს მსაჯულთა რიცხვის შეცვლა (ცხრის მაგივრად თუთხმეტამდე) უარპყა.

ყოველი ამერიკელი ან ახალი მოქალაქობის

უფლების მიმღები ვალდებულია კონსტიტუციის შინაარსი იცოდეს. მის ლამაზ შესავალს კი ყოველი ბავში სკოლაში ზეპირად სწავლობს. მოგვყავს სუსტი თარგმნით:

«ჩვენ, ერი შეერთებულ შტატებისა, რათა შევადგინოთ უკეთესი კავშირი, დავამყაროთ მართლმსაჯულობა, უზრუნველვპყოთ ოჯახური სიწყნარე, მოვიპოვოთ საერთო დაცვა, ხელი შევეწყოთ საზოგადო კეთილდღეობას და დავიმკვიდროთ თავისუფლების სიკეთე ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლისთვის,—ვადგენთ და ვაარსებთ ამ კონსტიტუციას ამერიკის შეერთებულ შტატებისთვის».

1787 წლამდე ამერიკას ჰქონდა კონფედერაციული კანონმდებლობა, რომლის სუსტი მხარეები იყო: ფინანსური მოუგვარებლობა, საგარეო კითხვების პრესტიჟის შელახვა და სხვა... ერი იზრდებოდა და ქვეყანას სჭირდებოდა უფრო მჭიდროდ შეკავშირება—ცენტრალური მთავრობა დემოკრატიული პრინციპებით.

მაგრამ ეს ადვილი საქმე არ გამოდგა. ყოველ შტატს უნდოდა თავისი თავისუფლების და განსხვავების შენარჩუნება.

საკონსტიტუციო კონვენტის სხდომები დაიწყო ქალაქ ფილადელფიაში მისში და გავრძელდა ოთხ თვეს. დღევანდებლად შორის დიდი უთანხმოება იყო. ზოგმა შტატმა არც კი იკადრა დელეგატის გამოზავნა. ზოგი შტატი მოითხოვდა პრეპორტიონალურ წარმომადგენლობას, ზოგი თანასწორობას. ამან დაბადა დღევანდელი ორპალატიანი სისტემა. სენატი, თანასწორი წარმომადგენლობით (ყოველი შტატი აგზავნის ორ წევრს) და წარმომადგენელთა დარბაზი (ყოველი შტატი აგზავნის დეპუტატებს, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით).

დიდი ბრძოლა, გამპირახობა, დათმობა და პატრიოტიზმი გამოიჩინეს დელეგატებმა. მათ შორის იყვნენ ასეთი ცნობილი პირნი როგორც ჯორჯი ვაშინგტონი—მერე პირველი პრეზიდენტი შეერთებულ შტატებისა, ბენჯამინი ფლანკლინი—დიდი დიპლომატი და მეცნიერი, ჯეიმსი მადისონი—კონსტიტუციის ტექსტის შემადგენელი და სხვანი. ყოველი წინადადება, სიტყვა, წერტილი, იყო შედეგი ცხარე კამათისა, კომპრომისისა (სამმა დელეგატმა არც კი მოაწერა ხელი).

დღესაც ეს 150 წლიანი დოკუმენტი უნაკლულად ითვლება და სასიყვარულო მთელი ერისთვის. როცა ეს იწერება პრეზიდენტის რუზველტი დასავლეთ შტატებში მოგზაურობს. ხალხი მას დიდი პატივისცემით და ოვაციით ხვდება, მაგრამ ეუბნება: «კონსტიტუციას ნუ შეეხები!».

კონსტიტუცია დაიწერა დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე მთვე წელში.

საკონსტიტუციო კონფერენციასზე თავი იჩინა ორმა მიმართულებამ: ერთი იყო ზომიერი ჯგუფი (დემოკრატები), მეორე უფრო კონსერვატული: მამა მთავარნი დღევანდელი დემოკრატების და რესპუბლიკანელების პარტიების. ბევრი იყო განსხვავება მათ შორის, მაგრამ ყველას ასულდგმულბდა და აერთებდა ბრიტანეთიდან სრული დამოუკიდებ-

ლობა და თავისუფალ ერთა თვითმართველობა: თავისუფლება შტატების თვითმართველობის, მაგრამ შეკვეცა იმდენად რომ სიმაგრე ჰქონდეს ცენტრალურ მთავრობას; ამ უკანასკნელის შეზღუდვა იმდენად, რომ თავისუფლება ჰქონდეს ყოველ შტატს. ამაღ დაბადა «მთავრობა ხალხისა, ხალხის მიერ და ხალხისთვის».

ამერიკის ორმა უდიდესმა აქტმა: დამოუკიდებლობამ და კარგმა კონსტიტუციამ ხელი შეუწყო უდიდესი ერის გაზრდას დედა-მიწაზე.

ოქტომბერში ნიუორკში გაიმართა მეტად საინტერესო არაპოლიტიკური მნიშვნელოვანი კრება, რომელიც მოწვეული იყო რესპუბლიკანურ გაზეთ «ჰერალდი ტრიბუნის» მიერ «მიმდინარე პრობლემების გასაშუქებლად». კრების ან, როგორც მას ერქვა, «ფორუმის» ლოზუნგი, თუ სათაური, იყო: «მეორეჯერ აღმოჩენა ამერიკისა» (აღბად რადგან 150 წელმა განვლო შეერთებულ შტატების კონსტიტუციის დაწერის შემდეგ).

პროგრამა იყო შინაარსიანი. აქ ირჩეოდა ბევრი საყურადღებო კითხვა: «თავისუფლება პრესისა მთელ ქვეყანაში»; «აქაური პოლიტიკური რეფორმები და საერთაშორისო დამოკიდულების გაუმჯობესობა»; «ომი და მასთან ბრძოლა»; «ახალგაზდობის პრობლემები»; «გადამდები ავადმყოფობა და მასთან ბრძოლა»; «დანაშაულობა და მასთან ბრძოლა» და ბევრი სხვა...

«ფორუმი» გაგრძელდა სამ დღეს, დაესწრო რამდენიმე ათასი მოპატიჟებული მთელი შეერთებული შტატების სხვადასხვა დაწესებულებიდან, სოციალური კლუბებიდან, უნივერსიტეტებიდან და სხვა.

კრება გახსნა პრეზიდენტ რუზველტის მეუღლემ და დახურა თვით პრეზიდენტმა. სიტყვები წარმოასთქვეს ოფიციალურ პირების გარდა, როგორც არიან ნიუორკის მერი, შტატის გუბერნატორი და სხვა, ორმოცდაათამდე მეცნიერმა და სხვადასხვა დარგის მოღვაწემ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თავისუფალ პრესის საკითხი. ამ საგანზე ილაპარაკეს: «ნიუორკის ტაიმისი» რედაქტორმა ფინლიემ, ქნ დორათი ტომსონმა (მწერალ სინკლერ ლუიზის მეუღლე), საერთაშორისო პოლიტიკის მწერალმა; საბჭოების სახელით კონსტანტინე უმანსკიმ; გერმანიის სახელით ფრიდრიხ აუჰაგენმა (ლექციებს ჰკითხულობს ამერიკის და გერმანიის დამოკიდებულებაზე); იტალიიდან იუგო დანუნციომ, ცნობილ პოეტის შვილმა; ბრიტანეთის სახელათ ილაპარაკა «ლონდონ ეკონომისტ»-ის რედაქტორმა გრაჰამ ჰუტონმა. მათ ყველას უპასუხა ამერიკელმა ჟურნალისტმა გრამ სვინგმა.

«ნიუორკის ტაიმისის» რედაქტორის სიტყვა ძალიან კარგად გამოთქმული და შინაარსიანი იყო («ტაიმისი» როგორც დემოკრატების გაზეთი მეტოქეა და წინააღმდეგი რესპუბლიკანელების «ჰერალდ ტრიბუნისს»). ბ. ფინლიის მოხსენების სათაური იყო «სიტყვის და წერის თავისუფლება პლატონის და სოკრატის დროიდან (უკანასკნელი სიტყვის თავი-

სუფლებისთვის მოკვდა) პეტრე ცენგერამდე. პეტრე ცენგერი იყო მთვარამეტე საუკუნის პირველნახევარში გამოჩენილი ჟურნალისტი ამერიკაში; სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებისთვის მებრძოლი.

იუგო დანუნციომ სთქვა: თავისუფლება სიტყვისა თუ წერისა დამოკიდებულია იმ მთავრობის ფორმაზე, რომელიც ხალხის უმრავლესობამ ამოირჩია. მაშასადამე თავისუფლება პრესისა იტალიაში დამოკიდებულია იმ საძირკველზე, რომელზედაც ფაშიზმი დამყარებულია. ფაშიზმის კონცეპცია კი უმაღლეს საფეხურზე აყენებს სახელმწიფოს. პირველების ინტერესებს ღებულობს მხედველობაში იმდენად, რამდენად ეს სახელმწიფოს უფარდდება. აქედან თავისუფლება არ არის აბსოლუტური. თავისუფლება იცვლება დროს მიხედვით. თავისუფლება შეიძლება მხოლოდ სიმდიდრის დროს; სამაგიეროდ, თავისუფლება შეუძლებელია სიღარიბეში ისე, როგორც შეუძლებელია ომის დროს...

გერმანელმა აუტაგენმაც აღიარა, რომ მის სამშობლოში პრესის თავისუფლება შეზღუდულია, იქ პრესა სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. «გერმანია ამერიკელებით არ არის დასახლებული და ამერიკის სტანდარტით შეუძლებელია გერმანიის პრესის დაფასება. მაგრამ შემცდავია, ვინც ფიქრობს, რომ გერმანიის პრესა გერმანელებს არ ემსახურება. გერმანიას მუდამ თავისებური პრესა ჰქონდა, დღევანდელი პრესა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის იყო ოდესმე გერმანიაშიო»... გერმანიის პრესა თავის მოთხოვნილებას ასრულებს: 1) აგროვებს ცნობებს 2) ინტელიგენტურად უხსნის ხალხს მნიშვნელოვან ნაციონალურ კითხვას და 3) აწვდის თავის მიკითხვებებს ისეთ გასართობებს, რომელიც მათ მოსწონთ.

საბჭოების ოფიციალმა კ. უმანსკიმ სხვათა შორის განაცხადა: «საბჭოების პრესა დაიბადა თავისუფალი და არის თავისუფალი. ჩვენი პრესა დაარსებულია ხალხის მიერ და ხალხისთვის... ჩვენში არაა პრესის ოპოზიცია და პოლიტიკური ანტაგონიზმი, რადგან არა გვყავს ანტაგონისტური კლასები და არ არსებობს ნიადაგი რომელიმე ოპოზიციისთვის, სადაც სოციალიზმი მაგრად აშენებულია».

მათ უპასუხა ამერიკელ ჟურნალისტმა გრამ სვინგმა: რუსეთი, გერმანია და იტალია; ყველა ცხოვრობს იმ აზრით, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სიმართლე, რომელსაც მთავრობა ქადაგებს. «საბჭოების წარმომადგენლის ქება იქაურ პრესის თავისუფლებისა საკვირველია, — როცა კარგად ვიცით, რომ იქ ასობით იხვრიტება და ციმბირში იგზავნება ოდნავად საეჭვო და ურჩიო»...

ამერიკაში სიტყვის და პრესის სრული თავისუფლება (რასაკვირველია პარნოკრაფიას გარდა), მაშ რატომ დასჭირდა ამ პატივცემულთა კრებას ასეთი კითხვის დასმა?.. ამის პასუხი «ტაიმისის» რედაქტორის მოწოდებაშია: «დარაჯდა იდეით, არ დაკარგოთ მოპოვებული თავისუფლება» (სიფრთხილეს თავი არ სტკივაო!)...

თუ რა შეიძლება მოუვიდეს პრესას თვით თავი-

სუფალ ქვეყანაშიც, ამისთვის საყურადღებოა, აღვნიშნოთ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მოტანილი მაგალითი. მან განაცხადა. რომ ბრიტანეთში პრესამ დიდი ბრძოლის მერე სრული თავისუფლება მოიპოვა მეცხრამეტე საუკუნეში. მიმდინარე საუკუნეში კი ეს თავისუფლება ქვეით მიექანება. მართალია, დღეს არავითარი ცენზურა არ არის, მაგრამ ჩვეულებად იქცა თვით პრესის მიერ თავის შეზღუდვა. მაგალითად დასახელა ცოფილი მეფის ედუარდ მერვის და მისი საცლოეს შესახებ პრესის მოქმედება: «ორი თვის განმავლობაში მთელი დედამიწა სწერდა ამაზე გარდა ინგლისის პრესისა».

ნაურო.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა შ ი ა

თამარ პაპავასი. დიდი სახეები პატარა ჩაწილებში. პარიზი. 1937. დ. ხელაძის გამოცემა.

ძალაუნებურად მიაქცევთ ყურადღებას წიგნის გარეგნულობას: საუცხოვო გარეკანი, ძვირფასი ქალღი, ლამაზად აწყობილი ტექსტი და სუფთად დაბეჭდილი, საერთო სიყვარული შრომისა და სიკოხტავის. ამას კი ქართველი მკითხველი დაჩვეული არაა. ლამაზად გამოცემული ქართული წიგნი სანთლით საქებარია. შეიძლება ითქვას, რომ ქართული გამომცემლობა საერთოდ პრომიტული ხასიათისაა, ჩვენს სტამბას 60-80 წლის მანძილზე ოდნავი ცვლილება არ განუცდია, არავითარი გაუმჯობესობა არ დაამჩნევია. ძველად თუ ქართველებს დიდი კულტი ჰქონდათ წიგნის და გადამწერები ყოველნაირად ამკობდნ და ამშვენებდნ ხელნაწერს, დღეს ჩვენ არმოგვეპოვება ნასახიწიგნის ასეთი პატივისცემის. ამას განსაკუთრებით გრძობ ადამიანი, როცა პარიზის წლებადღელ გამოფენაზე ათვალიერებ თუნდაც ისეთი პატარა ქვეყნების გამომცემლობას, როგორც ბალტიის სახელმწიფონი, ფინლანდია, დანია. ამ უკანასკნელი ორის წიგნები პირდაპირ ვირტუოზული ხელოვნებით და სიმშვენიერით არის შესრულებული და ამერების მაღალ კულტურასობას ისე არაფერი მეტყველობს, როგორც ეს მზრუნველობა ნაბეჭდის სიმშვენიერისთვის. ამათან ვერ მოვიტანთ, ცხადია, ახლად გამოსულს ქართულს წიგნს, ხოლო სხვა ქართულ გამოცემებთან შედარებით თ. პაპავასის წიგნი ფრიად სასიამოვნო გამოჩაქლის წარმომადგენს.

ღირსიცაა ასეთი გარეგნულ მოკაზმულობის ისეთი ფრიად საინტერესო და შინაარსიანი წიგნი, როგორცაა «დიდი სახეები». ავტორი თავის ისტორიულ ნარკვევებში ეხება ჩვენი ერის ორს უდიდეს საკითხს. ერთია რუსების შემოსვლა საქართველოში, მეორე—ქართველი ქალი ჩვენს ისტორიაში. ერთიც და მეორეც დღემდის თითქმის ხელუხლებელია. ქართველ საზოგადოებას დაახლოვებითი წარმოდგენაც არა აქვს იმის, თუ რა იყო რუსეთის დამყარება ჩვენს ტერიტორიაზე. ბევრს ჰგონია—და ამას ძალიან უწყობდნ ხელს რუსული ოფიციალური წრეები—რომ ეს უმტიკინეულოდ მოხდა და თუ

იყო წინამდებობა, კერძობითი და ინდივიდუალური. ნამდვილად ეს იყო ერთი მხრით გაუგონარი ვერაგობა, სიფლიდე, სიმხეცე, დაუნდობლობა, მეორე მხრით იშვიათი გამრული წინამდებობა, თავდადებული ბრძოლა, შეუპოვრობა, გაუტყელობა თითქმის ოცდათი წლის განმავლობაში, ბრძოლები მთელი საქართველოსი—ყოველი კუთხის, სოფლის, მთელი ერის—ყოველი წრის, ახნაურების, გლეხობის, სამღვდელთების, კაცის, ქალის. ურიცხვი ქართველი შეეწირა თავისუფლებას და სამშობლოს სიყვარულს და დაიღუპა ამ ბრძოლების ველზე და მრავალთაც სულელები ამოხდათ ციმბირში და რუსეთის სხვა ადგილებში. ჯერ ამის ისტორია არ დაწერილა, ამისთვის ტომები და ტომებია საჭირო...

მეორე საკითხი—ქართველი ქალი—რა მომხიბლავი და უაღრესი მნიშვნელობის პრობლემა ჩვენი ერის რაობის და ვინაობის გამოსარკვევად. ნინო, თამარი, ქეთევანი, თინათინ, დარეჯანი—პატივისცემა ქალის, რომელიც ერთნაირად ახასიათებდა როგორც ჩვენს მაღალს წოდებას, ისე დაბალს,—საიდან მოდის? შეიძლება ეს ჩვენი ეროვნული თვისება უფრო ადრინდელია, ვიდრე საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი შეიქნებოდა? შეიძლება ეს შორიდანაც მოვიტანეთ თან, როცა დავმკვიდრდით ქოროხ-რიონ-მტკვრის ნაპირებზე?

აი ის ორი დიადი საკითხი, რომლებიც აინტერესებს «დიდი სახეების» ავტორს. მაგრამ იგი არ უდგება ამ საკითხებს მლიანად, არ ცდილობს გადაგვიშალოს წინ პრობლემები მთელი მათი ისტორიული ასპექტით. ეს ჯერჯერობით, ვიდრე წინასწარი მუშაობა არაა შესრულებული, განუხორციელებელიცაა. ქანი თამარ პაპავასი კმაყოფილება მოგვეცეს ნარკვევები, ესკიზები. ის ეხება საგანს ეპოზოდურად, იღებს რუსების შემოსვლის ზოგიერთს მომენტს და ამის ჩარჩოში გვიხატავს ქართველ ქალს—მის სიმშვენიერეს სულიერს, მაღალ გონიერებას, სიმტკიცეს, თავგანწირვას, მამულიშვილურს აღზნებას და გმირობას.

აი დარეჯან დედოფალი, მეფე ერეკლეს მეუღლე, რომელიც უქვევლია დიდი ჰკუის და ენერჯის პატრონი იყო, თუმცა მისი როლი ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელ ამბებში ჯერჯერობით ნათლად გარკვეული არაა. აი ერეკლეს ქალები ქეთევან, მარიაში და თეკლე, რომელთაც მშვენიერი ლექსები დაგიტოვეს, ქალური სინაზით აღსავსე. ღრმა-ელეგიური, სადაც საუცხოვოდაა დახატული მათი მამულიშვილური განცდები რუსების ძალმომრეობისა და ვერაგობისა გამო. აი თამარ ბატონიშვილი, 1832 წ. შეთქმულობის მთავარი ხელმძღვანელი, რომელიც იმდენად გონიერი და მომხადებული პიროვნება იყო, რომ მეფედ უპირებდნ გამოცხადებას გამარჯვების შემდეგ; აი სხვა შეთქმულნი ქალნი—ბატონიშვილები თეკლე, რიფსიმე და სალომე, ეკატერინე ორბელიანისა, სოლ. დოდაშვილის მეუღლე, მელანია ერისთავი, მანანა ორბელიანისა და სხ. მაღალი ღირსების და მეტად მიმზიდავ ადამიანადაა გამოყვანილი ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლი მარია.



მელიქ სააქის ასეული, რომელიც თავგამოდებით ებრძვის რუსებს თავის შვილის ირაკლის დასაცავად. აი ეკატერინე წერეთლისა, რომელიც მეომარის და სარდლის როლში გვევლინება და მოხერხებულად იცავს «მოდო ნახეს» ციხეს რუსების წინააღმდეგ; გიორგი წულუკიძის მეუღლე, ერთი ხელმძღვანელთაგანი იმერეთის, კერძოდ რაჭის, აჯანყებისა, რომლის მოქმედება და სულიერი განცდები დიდის ინტერესით არის მოთხრობილი. აი სამეგრელოს დედოფალი ნინო, გიორგი მეთორმეტის ასული, რომელიც დიდს პოლიტიკურ-დიპლომატიურ მუშაობას აწარმოებს და ამავე დროს საომარ მოქმედებაშიც იღებს მონაწილეობას, თავში რუსებს ენდობა და მათი დახმარებით უნდა საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება, მერე დაუნდობელს ბრძოლას უცხადებს მათ. დაბოლოს აი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ქალი დარეჯანი, ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე—პირდაპირ ანტიურ ტრაგედიის პიროვნება, რომელიც ვერ გასტეხა ვერც ქმრის და შვილების ბრძოლის ველებზე დაღუპვამ და ვერც სხვა უბედურებამ...

ასეთია ორიოდ სიტყვით საგანი ჩვენს წინ მდებარე მშვენიერი წიგნისა. მას რომ გადაიკითხავთ, გულს მოეშვება, ხალისი გემატებათ, იმედი და რწმენა ქართველი ერის. ქართველობას თამამად შეუძლია სიამაყით წარსდგეს მთელი ქვეყნიერების წინაშე თავის ისტორიით. ამ ისტორიაში არ ყოფილა ერთი პერიოდიც (ასეთი არ იყო რუსების შემოსვლაც), რომ ქართველ ერს ღირსეულად არ დაეცავს თავისი დამოუკიდებლობა და ეროვნული თვითარსებობა. და ამ გმირულ ბრძოლებში მამაკაცებს ტოლებად ედგნენ მხარში დედები და ცოლები.

ქ-ნი თამარ პაპავასი თავის გმირების ამბების გარეშე მაყურებელი არაა—ცივი მოამბე და მსაჯველი. ის პირდაპირ ცხოვრობს ისტორიულ ქართველ ქალების ცხოვრებით, მისი გული მათ გულებთან სცემს და მოზიარეა ყველა მათი ჭირის და სიმწარის. ცდილობს კარგად ჩავახედოს მათ სულის კვეთებაში, გაგვაგებოს—უფრო გვაგრძობინოს—მათი მისწრაფება. თუ ხანდახან მისი ქალები მცდარ ნაბიჯებს გადადგამენ, ან უკან დაიხვეწენ, ავტორი იცავს მათ, გვიხსნის იმ ფსიქიურს პროცესს, რომელმაც წარმოშვა ესეთი საქციელი. იგი შეყვარებულია თავის გმირებზე და ეს აძლევს მის კალამს აღფრთოვანებას და მხატვრულ უნარსაც.

წიგნი იკითხება გატაცებით, როგორც რომანი. კარგი ქართულით არის დაწერილი, აქა იქა სჩანს მხოლოდ მცირეოდენი რუსიციზმი.

წიგნს თავში დართული აქვს პროფესორ ექვთაყაიშვილის წინასიტყვაობა, რომელიც სრული მოწონებით ეგებება ავტორის ნაშრომს, და უსურვებს ავტორს განაგრძოს დაწყებული მუშაობა. დარწმუნებული ვართ, ასეთს სურვილს გამოსთქვამს წიგნის ყოველი წამკითხველი.

ფ.

ვ რ მ ს ა

ჩვენმა მკითხველმა უკვე უწყის მთიელთა «სევკავკახ»-ის ზოგიერთი უტაქტო გამოსვლა: ჯერ იყო და გამოცემის ყოველ ნუმრის გარეკანზე ჰბეჭდავდა კავკასიის კონფედერაციის რუკას, სადაც დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა მთიელთა რესპუბლიკას უერთდებოდა, მერე გულისწყრომით აღნიშნავდა, რომ ლაჩებისთვის მათ ენაზე დაწერილი წიგნები იყო გამოცემული, და სხვა.

ახლა კიდევ ჩვენს მეგობარს და კავკასიელთა ერთობის დამცველ ორგანოს დიდ უბედურებად მიაჩნია, რომ აფხაზებისთვის ლათინური შრიფტი ქართულით შეუცვლიათ. ამას ეროვნულ ძალდატანებად და ქართული შოვინიზმის საქმედ სთვლის.

დროა, ჩვენმა პატივცემულმა თანამომეგებმა შეიგონან, რომ აფხაზეთი და საქართველო განუყოფელია, ისინი ერთმანეთზე გადაჯაჭულნი არიან მრავალი საუკუნის ისტორიით და კულტურით, და ესეც რომ არ იყოს, წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ქართული შრიფტი უკეთესად უდგება აფხაზურს, ვიდრე ლათინური.

აუსთაველის აღმასწავლებლის შენიშვნაში

2 ნომბერს საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტმა იქონია სხდომა პროფ. მალ-შის თავმჯდომარეობით და დაადგინა, თანახმად ხ. შავიშვილის წინადადებისა, გამართულ იქნეს ყენევის უნივერსიტეტში რუსთაველის 750 წ. თავის აღსანიშნავად საიუბილეო კრება შესაფერისი მოხსენებებით. სრული პროგრამა შესდგება ახლო მომავალში ცნობილ ყენეველ პოეტ პიაშოს თანამშრომლობით.

ამავე დღეს საღამოს ყენევის სახალხო უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა ლექცია ხ. შავიშვილის მიერ შემდეგ საგანზე: «მეთორმეტე საუკუნის ქართველი დიდი პოეტი რუსთაველი, მისი ნაწარმოები, მისი ეპოქა». გააცნო რა აუდიტორიას «ვეფხისტყაოსნის» სიდადე, მისი აღზდითი გავლენა ქართველებზე, ლექტორმა შენიშნა: «ეს არაა მხოლოდ უდიდესი ძეგლი ქართველ ერის შემოქმედების მის აღმადგურენის ხანისა. ის ეკუთვნის იშვიათ გენიალურ ნაწარმოებთა რიცხვს მსოფლიო ლიტერატურაში და წინამორბედა ევროპის ჰუმანიზმისა». აღნიშნა მთელ 21 მილ. კვადრატულ კილომეტრის სივრცეზე საბჭოთა კავშირის მიერ გამართული დიდი მზადება რუსთაველის იუბილეს მოსაწყობად და დასძინა: «ეს ქება-დიდება ხელს ვერ შემოშლის ქვეშაბრტეხა აღვიარო, საქები ვაქო და საძაგი დავგმო. იქ თუ ბევრს კარგს სწერენ რუსთაველზე და მის იუბილეს განსაკუთრებული ყურადღებით ამზადებენ, ეს იმას

ნიშნავს, რომ მის მომხიბლავ წარმტაც ძალის წინაშე ვერავის გაუძლია, მის წინაშე მუხლს იდრეკენ და მას აღიდებენ, რომ ის სდგას მშვენიერების მწვერვალზე და მისი დამალვა შეუძლებელია. თუ ის აქამდის მარტო ქართველი ერის სიამაყეს წარმოადგენდა და მას უცხოელთა მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობდა, ამიერიდან ის შედის კაცობრიობის შემოქმედების საუფჯეში და, ეჭვი არ არის, აქ ის საპატიო ადგილს დაიკავებს». ლექცია მოსმენილ იქნა დიდის ყურადღებით და მხურვალე ტაშის ცემით გათავდა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, დაგვიბეჭდოთ განსვენებულის ა. ნიკვაიძის დასაკრძალავად შეგროვილი თანხების ანგარიში:

საქ. მთავრობა 200 ფრ., მაწვნის ქარხ. «დელის» 200 ფრ., მაწვნის ქარხ. «ორიენტალი» 100, ზაქ. რომანიშვილი 100, ნ. ცინცაძე 50, ვალა ახვლედიანი 50, გერ. ბოლქვაძე 25, ს. სებისკვერაძე 25, ლ. ყაზანიშვილი 25, ს. გოგიბერიძე 20, ნ. შარაბიძე 20, ძ. მონიავა 20, ვ. შიკაჩუა 20, კ. ქოჩიაძე 20, გ. ყიფიანი 20, ბ-ნი მენუჩარია 20, აკ. ასათიანი 20, ქ. იმნაიშვილი 20, ე. გეგეჭკორი 20, ი. გოგოლაშვილი 15, მ. ბოლქვაძე 15, ვ. ასათიანი 15, ტ. უღრტი 15, ძ. კილურაძე 15, ე. მაჭავარიანი 15, გ. ქირაქაძე 15, ბ-ნი გოგორაშვილი 15, ბ. გაბუნია 15, ბ-ნი ჩაჩავა; ათ-ათი ფრანკი: ქ ნ მ. სიამაშვილისა, ე. ფერაძისა, ბ-ნი: ს. მენაღარი, კ. გვარჯალაძე, კ. კანდელაკი, ი. ზურაბიშვილი, ს. ასათიანი, ბ. ბედალაძე, დ. მარჯანიშვილი, ილ რინი, მიშა, ვ. ინჭკირველი, ჩაჩუა, ნ. ბოკუჩავა, ს. ფანჩულიძე, ს. ბერეჟიანი, X, ჯიშკარიანი, მელია, ნ. იმნაიშვილი, კ. მდივანი, ა. გამსახურდია, გ. სურგულაძე და 5 ფრ. მ. ჩახვაძე. გარდა ამისა სატუმრო «დე-ზარ»-ში მცხოვრებ ამხანაგთაგან შეგროვილი 60 ფრანკი. სულ 1.420 ფრანკი.

განსვენებულის ამხანაგები და თანამშრომლები უღრმეს მადლობას უძღვნიან შემომწირველთ და აგრედვე მათ, ვინც დაკრძალვან პირადის დასწრებით ან წერილობით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას.

ამხანაგების მონდობილობით:
მეკი გვილია, ნივ. ჯაყელი.



გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოვიგზავხო შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA
10, rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

ქართული „შეგარდენი“ პარიზში

ამ ორი წლის წინად პარიზის ქართული ტანთვარჯიშობის საზოგადოება «შეგარდენთან», დაარსებული იქნა კარვედის (კამპინგის) სექცია, რომლის მიზანი არის, იზრუნოს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდა-განვითარებისთვის. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ემიგრაციის ნივთიერ სიღატაკეს და მასთან დაკავშირებით ახალგაზრდობის მდგომარეობას, ნათელი იქნება საერთო ძალებით ზრუნვა მათ ჯანმთელოებაზე.

ვინ არ იცის, პარიზის ჰაერის სუნთქვა მთელი წლების განმავლობაში რა დამლუბველია, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდებისათვის. ამიტომ გადავწყვიტეთ საკუთარი ძალებით საქირთ თანხის მოპოება იმ იმედით, რომ ქართველი კოლონიაც გამოეხმაურებოდა ამ ფრიად კეთილ საქმეს. ორი წლის განმავლობაში გამართული საღამოებიდან და შემოწირულებიდან დავაგროვეთ მეტად მცირე თანხა და რა თქმა უნდა—კარვედის შეძენა და ათი კაცის (როგორც გადაწყვეტილი გვქონდა) დასასვენებლად გაგზავნა—ვერ მოხერხდა. ამიტომ ამზადებულს დავკმაყოფილეთ კარვის ქირაობით და ხუთი ახალგაზრდის ერთი თვით ზღვის პირას გაგზავნით. ამ ჯგუფში შევიდნენ როგორც წევრები ისე არაწევრებიც ჩვენი საზოგადოებისა—ა. ციციშვილი, თ. თაქთაქიშვილი, ვ. ჯიბლაძე, დ. ჯაფარიძე და კარავის ხელმძღვანელი-მწვრთნელი ვ. ბარკალია, რამაც ფრიად სასურველი შედეგი მოგვცა და მომავლის იმედებით აღვივსო გული. ეს საკმარისი არ არის. საქირთა, ვიფიქროთ მომავალზე, რათა შევსძლოთ, აღმოუჩინოთ ყოველი წლიური დანებარება იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომელნიც ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. იმედი გვაქვს ქართველი კოლონია მეტს ყურადღებას და ინტერესს გამოიჩენს ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში.

შემოსავალი:
მოწყობილი 10 საღამოდან შემოვიდა 2.550—60, პარიზის ქარ. ახალ. კულტურული წრისაგან 100 ფრ., ბ.ბ. ივ. ანდრონიკაშვილისაგან 100 ფრ., გ. ნოზაძისაგან 100 ფრ., ვ. ბარკალიასაგან 100 ფრ. სულ 3.050 60.
გასავალი:
ბ-ნე. თაყაიშვილის წიგნის ფონდისათვის 200 ფრ., ამ წლის ავგისტოს კარვედის მოსაწყობად 2.15 ფრ. სულ 2.350 ფრანკი.

მასასადამე ამჟამად სალაროში არის 700 ფრ. 60. დასასრულს უღრმეს მადლობას უძღვნით ყველა იმ პირთ, ვინც ამ საქმეში სხვადასხვა სახით დაგვეხმარა.

ასლი ამ მოწოდების ეგზავნება ყველა ქართულ ყურნალ-გაზეთებს დასაბეჭდად.

პატივისცემით პარიზის «შეგარდენთან»
კარვედის სექციის გამგეობა.

ცნობებისათვის:
M-me L. NOZADÉ
26, rue Lacretelle. Paris (15).